წლიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | პარასკევი, 1 იანვარი 1916 წ. | № 1

F262 / 13015



# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივ ... პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

---

### ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# „საქართველო"

1916 წ. წლიწადი მეორე — 1916 წ. წლიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:**

1) სალიტერატურო კრებული „მერანი" გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს" ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი" წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.
ლის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო".
პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.
გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

---

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

### პაზმული და სამხატვრო კრებული

## „მერანი"

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.**

---

## ქუთაისის საზოგადო საკრებულო

მოუწოდებს მსურველთ:
I. ეკონომის თანამდებობაზე და
II. საზაფხულო და საზამთრო სადგომებში ბუფეტის მოიჯარადრეს.
პირობების გასაგებად შეუძლიანთ მიმართონ მორიგ მამასახლისს ყოველ დღე, საღამოს რვა საათიდან თერთმეტამდე 20 იანვრიდან 1916 წლ.
(3—21—4) **მამასახლისთა საბჭო.**

---

კახელ მევენახეთა საზოგადოება **„კახეთი"-ს** გამგეობა
ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ 1916 წ. 30 იანვარს, ქ. თბილისში მთავარ საწყობის ბინაზე (გოგოლის ქუჩა № 63) დილის 11 საათზე დანიშნულია ჩვეულებრივი წლიური

## საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:
1) 1914—15 საანგ. წლ. ანგარიში და მის შესახებ მოხსენება.
2) მიწის შეძენა ქ. თელავში და ს. გურჯაანში.
3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
4) 1915—16 საანგ. წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა.
5) მიმდინარე საკითხები.
6) არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარის, რომელსაც ვადა შეუსრულდა, გამგეობის 1 წევრისა, 1 კანდიდატისა და სარევიზიო კომისიის 4 წევრისა.

---

იყიდება წიგნის მაღაზიებში და ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან ქ. თავართქილაძის შედგენილი და წიგ. მაღაზ. „განათლება"-ს გამოცემული

### 1916 წლის
## კედლის კალენდარი
### ფასი 50 კაპ.

**შინაარსი: კალენდარი** მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა, გრიგორიანეთა, მაჰმადიანთა და ებრაელთა საეკლესიო, უქმეებისა და სხვა საკალენდრო ცნობების აღნიშვნით, **ცნობები** ისტორიული, ბიოგრაფიული, პოლიტიკური, სამეცნიერო, სტატისტიკური, სამეურნეო, საექიმო, საოჯახო, სამზარეულო და სხვა და სხვა გამოსადეგი ნარკვევები. ლექსები ნ. ბარათაშვილისა, აკაკისა, ან. ფურცელაძისა, მ. გურიელისა, ილ. ჭყონიასი, ი. ევდოშვილისა, ბ. ახოსპირელისა, გ. ქუჩიშვილისა, გ. ტაბიძისა, ბ. პელაშვილისა, ჰეინესი ჭ. ელიას თარგმნილები და სხ.. **საგულისხმო აზრები** ნ. ნიკოლაძისა, ს. მესხისა, ნ. ჟორდანიასი, ა. ჯორჯაძისა, ა. რაჟდენიძისა, შექსპირისა, ზუსტისა, ტაციტისა, სპენსერისა, დარვინისა, ტოლსტოისა. ბებელისა, გეტესი, სმაილსისა, რუსოსი, ცეტკინისა, ბისმარკისა, შილლერისა, ნიცშესი, პრუდონისა, ფრანკლინისა ვოლტერისა, ჰეგელისა და სხვათა მრავალთა მწერალთა და მეცნიერთა. **უცხო სიტყვათა** ახსნა და მრავალი სხვა ცნობები.
უმთავრესი საწყობები იმყოფება: **ქ. თბილისში** 1, ბარონის ქ. სასახლის წინ აზ. ბანკის გვერდით № 14 კ. **თავართქილაძესთან** და 2, ოლღას ქ. № 6. წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განათლებასთან"**.

---

### მეცხვარეების საყურადღებოდ.

## იყიდება მთა-იალაღი და საძოვარი
## მიწები თრიალეთში

ბორჯომისა და სახელმწიფო მამულების შუა (გორის მაზრა), ზომით **800 დესეტინაზე მეტი.** მამული ეკუთვნის თ-დ იასონ დავითის ძე ციციშვილს. მამული უვალოა. სყიდვის მსურველმა უნდა მიჰმართოს **ქ. სიღნაღში ნიკ. ივ. ახმეტელაშვილს**

(6—7)

---

## სასტუმრო „ავრორა"

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
### სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი 12—85.**
(წ.—14—5)

---

### 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ"-ზე

**წლიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული" არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული"-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули", Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
**გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

---

## ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**
**ოცდა მეშვიდე წელიწადი**

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

### ჟურნალი „ჯეჯილი"

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.
**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтского журнала „Джеджили".
რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

---

ქ. გ ო რ შ ი
### ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

---

კბილის ექიმი
### ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
### ახალი აფთიაქი
**—პროვიზორის ახვლედიანისა—**

---

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
### კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

ექიმი-დოსტაქარი
### გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს ... და თასაათ. მისამართი: კუთხე ... და დიდი მთავრის ქუჩის ... ლი სვანიშვილისა; შესავალი მთავრის ქუჩიდან № 67 ... პირდაპირ. ტელეფონი № 5—7

---

ე ქ ი მ ი
### მ. დ. წინამძღვრიშვ...
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივ... ტეტისა სამედიცინო ინსტიტუტი... ნიკებისა გადმოვიდა თბილისში... იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყ... ფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხ... ხლის სნეულებიანს სპეციალურად. ... საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ მ ა
### მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

---

**„წნორის წყლის" სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა**

## სასტუმრო ჯუგაანი

**სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით**

15—16 პატივისცემით **ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვი...**

---

**მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა**

## კიკნა-ფშაველის

**პოემებისა და რჩეულ ლექსების** კრებული, რომელსაც წინ დაერთვის ... სურათი, მოკლე ბიოგრაფია-წინასიტყვაობა დ **დ. კასრაძის** კრიტიკულ ...
**წიგნი ეღირება ათ შაურად**
ხელის მოწერა შეიძლება „თეატრის და ცხოვრების" რედაქცი... **მიხ. ხერხეულიძესთან:** თბილისი, პარკოვსკი ... № 27

# გილოცავთ ახალ წელს

## ჩვენს თანაზიართ

უკვე გავსცილდით ერთის წლის საზღვარს, გავსცილდით ჩვენს წარსულს გუშინდელს დღეს. რაც იყო—უკან დაგვრჩა! რაც იქნება მას ჩვენ თვით შევქმნით!

დაე ყოველმა ჩვენთაგანმა ერთის წუთით უკან მიიხედოს და თვალი გადაავლოს განვლილ დროს. თავის თავს ანგარიში გაუწიოს: რა გააკეთა და ნამდვილად კი რამდენი უნდა გაეკეთებინა ჩვენის სიამაყისთვის, ჩვენის მამულისთვის!

დაე ყოველმა ჩვენთაგანმა ჩაიხედოს გულში და დაიწვას სირცხვილით, უკეთუ ოდესმე სიფხიზლის თვალი მოხუჭა, უკეთუ ოდესმე ერის თავმოყვარეობის გრძნობა მიაძინა და დასტოვა თვით მცირე მოვალეობაც კი უპატრონოდ და სხვის ანაბარად.

მე თქვენ მოგიწოდებთ! თქვენ, ჩემნო თანამოზიარნო და იმედით აღჭურვილნო! თქვენ, რომელთაც კი სისხლი გიდუღთ და წინაპართა ანდერძს გულში წმინდად ატარებთ, თქვენ მოგიწოდებთ უანგარო მამულიშვილნო, რომელთაც ფიცი მიგიღიათ ერის წინაშე და ერის საიდუმლოებას ჰზიარებიხართ—ჩვენი დრო შექმნის ხანაა! ჩვენს თვალწინ შენდება მტერთაგან თუ მოყვარეთაგან დანგრეული საქართველოს უზენაესი ტაძარი, სამუდამო სულიერი და ნივთიერი განძი შთამოებისთვის, წინაპართა სისხლზე დამყნობილი ჩვენი და ჩვენ შვილთა სიცოცხლე, ჩვენი ყოფნა! საძირკველი ეყრება იმ ძალას, რომელსაც ერის თავისუფლებას და ქართველ მშრომელ მაჯის გამარჯვებას ვუძახით!!

და, აჰა, ერთი ნაბიჯი თამამი და შეუპოვარი უკვე გადავსდგით. რამდენადაც ერთის წლის განვლით ჩვენი თაობა ბრძოლით და დაუღალავ გარჯით მიუახლოვდა თავის სამარეს, იმდენად [illegible]ბრძლივი ბედი გამოსჭედა მომავალ შვილიშვილთათვის, იმდენად მოდგმითი მოდგმამდე განუმტკიცა აუცილებელი უკვდავება.

ვისაც ღრმად სწამს და განუცდია მრავალტანჯული სამშობლო, თავ-თა[illegible] ...ა საკუთარი ცოცხალი ძეგლები ...შვილიშვილები,—დაე, მან ... და წარბშეუხრელად გადას... ...მავალ წელშიაც მტკიცე ნა...

...მიჩვენეთ, რომელი დაიხევს ...დესაც გზაზე უფრო სასტიკი ...რალებელი გაჭირვება გადაე... და ცეცხლსა და ჯოჯოხეთს ...? უკან დახეულმა სვინდისის ... მოიგონოს, რომ ტანჯვა-წამე...მივი მედგარი ბრძოლა ჩვენს ...ბს გმირის სახელს უპოვებდა! ...კვდადებამ და სულის ურჩო...ნ დღევანდელ დღემდე მოგვი...აა. მათის დანთხეულის სისხლით ...ენ ვსცოცხლობ და ვსუნთქავთ, მათის სახელით ჩვენ სახელი და პატივი გვედება!! ჩვენც მომავლისთვის ვიზრუნოთ!!

მოყვასისადმი სიყვარულით მაშინ განიმსჭვალე, ოდეს მასში მცირეოდენ სიყვარულის ჩანასახს მაინც იგრძნობ. პირველი ჩვენი სულის წრაფვა, მყუდროების და ძილის დამფთხობი მიზანი უნდა იყოს: **ჩვენი ჩვენთვის!**

...მოიცალეთ გამოუსწორებელნი მტირალნი ...მედო მომჩივანი მღაღადებელნი! ...იცალეთ, ვინც თვისის დაცემით ...ახარებს. ჩამოიცალეთ, ვისაც ...აუგია დედის გლოვა, დანიშნუ...ახილი და ჩვილთა კვნესა-ვაება! ...ყოველმა ჩვენთაგანმა სული ...ში და ღვლეფში იწრთოს, სა...ბას და ჯოჯოხეთს პირში შეჭ... წარბი არ შეიხაროს და შეუ...ახალ ცხოვრებას საქართველოს ...ებლ...!

...ნშიაშვილი.

## 915 და 916-ის საზღვარზე

ჩვენმა სამშობლომ იმ თავითვე მრავალი ათი ათასი მეომარი ბრძოლის შორეულ ასპარეზზე გაისტუმრა. ეს აქტი არ იყო თვით ჩვენი ერის უზენაესი ნებისყოფისა და მოსაზრების ნაყოფი. მსოფლიო ომის კვანძი ჩვენს გარეშე და უჩვენოდ გაისკვნა. ამ დიდი დრამის ინტრიგის პირდაპირი მონაწილე და მომქმედი არ ვყოფილვართ. ჩვენი პირადი მამოძრავებელი მიზნები და ძიებანი აქ არაფერ შუაში იყვნენ. ჩვენ მხოლოდ დაგვიძახეს, ჩაგვაბეს უცხოთა ბრძოლაში. ამისთვისაც, ჩვენი სამშობლო ორგანიულად ვერ განიცდიდა „ან გამარჯვება, ან სიკვდილი"-ს დევიზით ომში ჩაბმული ერის დიდს ტრაღედიას. მწვავე ტკივილები დამარცხებისა, მალხინობელი აღმაფრენანი გამარჯვებისა ქართველი ერის სულის სიღრმეს ვერ აატორტმანებდნენ ვერ აშლიდენ. ორსავე შემთხვევას ქართველი ერი იმდენად ახლოს მიიტანდა თავის გულთან და იმდენად განიგრძნობდა, რამდენადაც ისინი შეეხებოდნენ ერის ღვიძლ ძეთა სიცოცხლეს, ზვარაკად რომიყო წაღებული. ვისი შვილი ბრძოლად არ გასულა და რომელ ოჯახსაც ომის გამოთ წევრი არ დაჰკლებია, იგი სრულიად თავისუფალი იყო ომის განცდისაგან და ამ მოვლენის გარეშე დარჩენილი პსიხოლოგიურ-ზნეობრივად. კერძო ქართველი პირადის მშობლიურის გრძნობით იყო მხოლოდ გადაწნული სხვა ერთა შორის ატეხილ დიდ ბრძოლასთან. განცდა **მხოლოდ** მშობლიური ღირებულებისა იყო. „ექსპიროვნული" გრძნობა, სულის ზოგად-იდეიური სავალდებულო რამ ხელმწიფება, ომის პირდაპირ ფალავნებს რომ სძრავს და რასაც ეროვნული თავმოყვარეობა, ეროვნული თავისუფლება—მიწა-წყლის დაცვის გრძნობა ეწოდების,—ქართველის სულიერ მორალურ ქვეყანას არ გაჰკარებია. ეროვნული უფლების დაცვის ინსტიქტი და შეგნება მასში არ ათამაშებულა. ერთის სიტყვით, არ იყო საქართველოში ომის ეროვნული განცდა, არამედ მხოლოდ—პირადი, ღვიძლნათესაობაზე დამყარებული. პსიხოლოგიურად და ზნეობრივად ქართველობა ომის გარეშე სცხოვრობდა. ხოლო ომის ღმერთს საქართველოს აუარება მსხვერპლი ეწირებოდა. იყო მსხვერპლი, არ იყო განცდა. მრავალი ათი წელიწადია, რაც საქართველოს სული, ჯანი და გენია იტანჯება ამგვარის საშინელის ყოფით...

ვიდოდა ომი თავის გამანდგურებელის ცეცხლის ფეხებით. დასავლეთით მთელმა ქვეყნებმა თავისუფლება დაჰკარგეს. საფრანგეთის შუაგულს მოპირდაპირემ მახვილი გაუსწორა. აღმოსავლეთით შებმა და ყელთაჭრა დასავლეთისას არ დაუარდებოდა. გუბერნიები ხელიდან ხელში გადადიოდა. ბრძოლის სიმძაფრე უმწვერვალესობამდე აღწევდა. ბრძოლის ველზედ განგმირულნი ასი-ათასობით ეყარნენ. საქართველოს სისხლი და ხორცი, ჩვენი ღვიძლი ძმები, მამები და შვილები გაინაწილებდენ ამ უცხო გვამთა შორის, უცხო ქვეყანაში, **სრულიად უცხოდ**, საერთო ძმურ საფლავს!! ათი-ათასობით დასდვა თავი ჯან-ღონით სავსე ქართველობამ შორეულს უცხოეთში... საქართველოს უმანკო მსხვერპლი იწირებოდა ხოლო თვით საქართველო ისევ-ისევ **ომის გარეშე** სცხოვრობდა...

კვლავ ვიდოდა ომი თავის გამანადგურებელ ალის ფეხებით...

მოგვიახლოვდა. კოლა, ტაოს-კარი კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი აჭარა... ძველი დიდებული მესხეთი, აკვანი ჩვენის ბრწყინვალების, ომის ასპარეზად გადაიქცა. მეომრებმა ჩვენს დიდებულ წინაპართა საფლავებზე გადაიარ-გადმოიარეს. იგრძნობდნენ უთუოდ, დედამიწის ზედაპირზე რაც საშინელება ხდებოდა. მათი ძვლები მორთავდენ ხაშა-ხუშს, ახმაურდებოდენ. განადგურდა ათასი ერთჯერ საქართველოს სადიდებელი მხარე...შეწუხებული მიცვალებულნი, რომელთ ჩვენ ვართ ნაშიერნი, მთელის ტრადიციის ძლიერებით ჩვენში ამეტყველდენ, გაგვეღვიძა მიფერფლილი გრძნობა. ჩვენ წინ ჯერ დაისვა ჩვენი ძმების, ქართველ მაჰმადიანების საკითხი, მერე მთელი საქართველოს საკითხი. ჩვენში დაიბადა **ეროვნული ღმერთი**, ვიგრძენით და განვიცადეთ საქართველო მისი წარსულით, აწმყოთი და მომავალით. ზედ ჩვენს საკუთარ სხეულზე მიცხუნებულმა ბრძოლის ალის ენებმა გადაგვახალისა. საქართველომ ომი განიცადა ეროვნულად. აღძრნენ სწრაფვანი, მიზნები. შეიქმნა განცდა, გარნა აგენტი აღმსრულებელი,—არა-ერთი ასი-ათასი ვაჟკაცი—შორად დაურჩა, მსხვერპლად ეწირებოდა ომის ღმერთს უცხო მხარეს. გაორდა ქართველის სული, წარმოიშვა საშინელი ანტაგონიზმი, რომლის გაუცლელი მსხვერპლია იგი აგერ... დიდი ხანია... ეს მოხდა, სულ რაღაც ერთი წლის წინად.

ეს იყო დიდი დღე. იგი ჩვენი სულიერი შობის პირველი თარიღია ისტორიის უკანასკნელ ხანაში. მაჰმადიანი ქართველობა გადაიქცა იმ დედა-კრისტალად, რომელმაც შემოინივთა ერთ საქართველოს სული, და მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია შემოიკრიბა. დაგვებადა ერთი მიზანი ყველა ქართველს, **ეროვნული**, ერთი იდეალი—**ბედნიერი** საქართველო. ეს დაედო ქვაკუთხედად ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების ძიებას და საგანს მთელი 1915 წლის განმავლობაში. იგი გადაიქცა საერთო სტიმულად. მომქმედ საზოგადოებრივ ძალთა შორის მიზან-შეწონილი თანხმობა გამეფდა, პარტიებ შორის დაყვავება ჩამოვარდა. ეროვნულმა ღმერთმა დაკარგული ძლიერება და პატივი ჩვენში თანდათან დაიბრუნა. ვინ უფრო ეთაყვანება მას, ვინ ნაკლებ, მაგრამ დაქვემდებარებით, **ყველა** დაექვემდებარება მას. მისი ხელმწიფება იმ დღიდან ზრდისაკენ მიდის. გასული წელი საქართველოსთვის პსიხოლოგიურ-ეროვნულად შობის წელიწადია· იგი უთუოდ დატაა.. თანაც იგი არაჩვეულებრივად მდიდარი იყო მებრძოლ უცხოთა ამბებით, ცნობებით, მოვლინებით, რამაც დიდი გამოცდილება შეგვმატა. ამ წლის განმავლობაში დამოუკიდებელი სახელმწიფონი და ერნი წაიქცნენ, თათავისუფლებას გამოეთხოვენ. რამოდენიმე დიდი სახელმწიფო სანახევროდ წელში გატყდა, ბევრი მიწა-ადგილი წაერთვა და დაეკარგა. ადრინდელი მოკავშირენი ერთმანეთს დაშორდნენ და გუშინდელ დაუძინებელ მტერთან დასდეს ახალი კავშირი. ქრისტეს ჯვარი და მაჰმადის ნახევარ-მთვარა ურთიერთს გადაეჭდო და შეერთებულად ლაშქრობენ სხვა ერთ, რომ უჭირავთ იმავ ქრისტეს ჯვრის წინააღმდეგ. ძველი კავშირის დარღვევა მეგობარ ერთა და სახელმწიფოთა შორის, ახალი კომბინაციების ძებნა მტარვალ ერთა და სახელმწიფოთა შორის, ქრისტეს ჯვრის ბრძოლა ქრისტეს ჯვრისვე წინააღმდეგ, დაძმობილება მაჰმადისა და ქრისტესი და სხვა მრავალნი ფრიად საგულისხმიერო და ჩამაფიქრელნი მოვლენანი მოხდნენ მხოლოდ და მხოლოდ **აწმყო ეროვნული ინტერესის** იმპერატიული ბრძანებით. ეროვნული მომენტი **ყველა დანარჩენზე** გაბატონდა. ეს ყველაფერი შარშან დავინახეთ, ყურად ვიღეთ, განვიცადეთ, გავმდიდრდით სხვათა გამოცდილებით და გავიწაფენით პოლიტიკურ გონიერების მხრივაც. დიდი იყო წინა წლებისგან მიღებული იდეოლოგიური მემკვიდრეობის უკუღმართობა. ამის აღმოსაფხვრელად უთუოდ დიადი და უნივერსული ხასიათის მოვლენანი გვჭირდებოდენ, და ამ მხრივ გასული წლის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ.

1916 წელში ფეხი შემოვდგით 1914 წ. ქრისტეშობისთვეს ყოველჩვენთაგანში შობილ ეროვნულ ღმერთით და უჩვენოდ ატეხილ დღევანდელ მსოფლიო ომის **ეროვნულად** განცდის გრძნობით, მრავალ საგულისხმიერო ფაქტით და მოვლენით გაბრძნული. ომი ყოველ ჩვენგანში რაოდენიმედ **გაეროვნულდა**. ამ წლის დადგომის ზღურბლზე საქართველოს ყოფა ასეთია: არსებობს მიზნები, არსებობს ომის ეროვნული განცდა და ლტოლვა, გარნა ეროვნული აღმასრულებელი აგენტი, ძენი საქართველოისანი, უცხოდ არიან. ცხადია, თუ რა ყოფილა მორიგი საქმე, დამდგარი წლის პროგრამა...

არა, ახალი წელი ჯერ არ დამდგარა!

**ს. კედია.**

## გილოცავთ!

ქართველნო!

გილოცავთ ახალ წელს, გილოცავთ იმ ღრმა და შეუდრეკელის რწმენით რომ, მიუხედავად კვლავ მოსალოდნელის, იქნებ დიდი ტანჯვა-მსხვერპლისა, მომავალი მაინც თქვენი საყვარელი ქვეყნისაა!

ძველად—ძველი ივერია გადაურჩა ჩინგის-ხანის, თემურ-ლენგის, ნადირშაისა, ალამაჰმად-ხანისა და სხვათა უსაშინელეს ველურ ურდოებს... და დღემდის შეინარჩუნა თავისი ეროვნული სიამაყე, თავისი დიდებული ეკლესია, მდიდარი მშობლიური ენა და ძვირფას განძეულობით მოფენილი მამულ-დედული!

ამ ხნის განმავლობაში ბევრი ჩვენისთანა პატარა ერი აღიგვა კიდეც დედა-მიწის ზურგიდან, მაგრამ საქართველო და ქართველი ერი დღესაც სჩქეფს და სდუღს სიცოცხლით...

ერეკლეს სამეფოს დროიდან საქართველო თავის სივრცე-სიგანით და შემადგენლობით თითქმის არ შეცვლილა.

დი თუ დაჰკარგა მან ერთ ნაწილში—ათში მოიგო.

საქართველოს მრავალ საუკუნოვან მრისხანე ისტორიის თვალსაზრისით, ასი განვლილი წელი—ეს შესვენების ხანაა.

ასი წელიწადი ქართველი ერი ფიზიკურად ისვენებდა, აგროვებდა თავის დაფანტულ შვილებს, იდეიურად აერთებდა, იკრეფდა და რაზმავდა ძალებს ახალ დიად ხანის დასახვედრად.

დღეს ეს ხანა დაუდგა! ხანა ყოფნა არ ყოფნისა, ხანა განკითხვისა. ქართველმა ერმა უნდა პასუხი გასცეს:

ჰსურს იარსებოს, როგორც ერი, თუ—ქედი მოიხაროს და თავისი ძველი კერა უცხო მოდგმათა დაუთმოს?

ჩვენ ვიცით კიდეც მისი ამაყი პასუხი:

მსურს ვიარსებო, რადგან სრული უფლებაც მომდევს და ძალაც შემწევს!

საქართველოს ერთი კუნჭულა მამული უკავია წინა აზიაში. იგი არავის ერჩის, არავის ელობება წინ, არც ვისმეს სამკვიდრებელში მიიწევს.

ღრმა და შეუდრეკელ რწმენით, რომ მიუხედავად მოსალოდნელ კვლავ დიდი მსხვერპლისა, მომავალი მაინც თქვენი ძვირფასი ქვეყნისაა—გილოცავთ, ძმანო ქართველნო, მომავალ ახალ იმედიან წელსა.

**დ. კახელი.**

## საახალწლო ოცნება

მეგობარი მწერს, ერთმა მოხელემ მოისურვა ჩაიხედოს საქართველოს ისტორიის გულში და გაიგოს, რა ყოფილა საქართველო, რის უნარი ჰქონია, რა შესძინა კაცობრიობას და რითი მოაქვს თავიო. დღევანდელი საქართველო სანუგეშოს არას ეუბნება თურმე ცნობის მოყვარე მოხელეს. ქართველებმა აქ იყაჩაღეს, აქ ბავშვი გაიტაცეს, იქ თვით მსუქანი და სქელ-ჯიბიანი ვაჭარი სადღაც წააპოწიალეს, ან კიდევ „სამედიატორო სამართალში" გამოიწვიეს ვიღაცებმა ვიღაც დერციკი, თუ თერძი, ან დახლიდარიო.

მოხელეს უფიქრნია, ალბად წინად, ძველად ასე არ იქნებოდაო. როგორ შეიძლება, რომ ყაჩაღებს, მტაცებლებს, შანტაჟისტებს, სახელ-გატეხილებს და ნამუს ახდილებს უხიფათოდ ეცხოვრათ ათი, თხუთმეტი საუკუნე, ეტარებინათ ქრისტიანის სახელი და მეოცე საუკუნეში ამოეყოთ თავიო.

ყველა ამის გამო მოხელეს უთხოვნია ჩემის მეგობრისთვის—მიშოვნე ერთი ისეთი ხეირიანი წიგნი, საიდანაც გავიგო, თუ რა ყოფილა ძველად შენი სამშობლოვო. უფრო კი იმის გაგება მოჰსურვებია უცხო სტუმარს და ჩვენის ქვეყნის ბედის გამგეს, თუ როდის მოვიდნენ მესხეთში ოსმალონი და რამდენ ხანს იყვნენ იქ. მოგეხსენებათ რა განვაში ასტეხა ქართველობამ აჭარლების შესახებ. ესენი და სრულიად ზემო-ქართლელნი წმინდა წყლის ქართველები არიან და არა თათრებიო, რა უყოთ რომ მაჰმადის რჯულს აღიარებენო. უეჭველია, ამ განგაშს მიუღწევია მოხელის ყურამდის და დაინტერესებულა იმით, თუ როდის შემოესია ოსმალო მესხეთ-ჯავახეთს და რა ნავნევი ჩაიდინა მოსეულმა რუსთველის სამშობლოში. უეჭველია „ჰორიზონის" წივილ-კივილიც და ჩვენიანების წრიპინიც შეესმოდა მოხელეს, რომ დღევანდელი მესხეთი სასომხეთოა და არა რაღაც საქართველო, ესე იგი რაღაც ბლანდი ისტორიისაო.

შეწუხებულ-დაძმარებული მეგობარი წერილით მეკითხება, მიშველე რამე, დამისახელე ისეთი წიგნი რუსულ ენაზე, რომ მოხელეს მიუტანოვო.

საიდან დაუსახელო ასეთი წიგნი, რომ არ არსებობს. ქართულად არ გახლავთ ვრცელი, დალაგებული წიგნი ჩვენის წარსულის შესახებ და აბა რუსულად ვინ მოგვაქავებს. რუსები არა სწერენ, არ ეპრიანებათ ჩვენი წარსული, ჩვენ—კიდევ ვერ მოვიცალეთ, ან ვერ მოვახერხეთ.

სწორედ დიდს საგონებელს მივეცი. რომ მოუყვე ჩემს მეგობარს და ჩამოუთვალო არხეოგრაფიულ კამისიის აქტები, პოტტო, ესაძე, ბროსსე, ცაგარელი, კონდაკოვი, უვაროვისა, ივანენკო, ამითი რა გამოვა. ერთი საძნეურემი არ ეყოფა აქ ჩამოთვლილ წიგნებს და რომელი ოხერი მოხელე მოიკლავს თავს მათის ჯერ შეკრეფით, ფულის ხარჯვით და შემდეგ კითხვით. უქმი ოცნებაა...

მაშ რა ვქნათ? მაშ იპარპაშოს „ჰორიზონმა" და აჯეროს ქვეყანა, რომ მესხეთ-ჯავახეთი სასომხეთოა, რომ კულტურა ჩვენ შემოვიტანეთ „ყაჩაღთა" ქვეყანაშიო და სხვა.

არა, ეს არ ივარგებს. უნდა ხელი გავანძრიოთ, უნდა შევქმნათ, გავაჩინოთ, დავბადოთ და ვშვათ თავისუფალი აკადემია. . . . . .

. . . ნუ გაიღიმებთ ამ სიტყვის გაგონებაზე. ოცნებაა, მაგრამ ადვილი განსახორციელებელია.

სათაურში ოცნება უწოდე ამ ფიქრს იმიტომ რომ პირველად ასე გეჩვენებათ, თორემ აქ საოცნებო არაფერია.

თავისუფალ აკადემიას უნდა მეცნიერების მოყვარულნი და ფული. ორივე მოიპოვება ჩვენში, უკეთუ, რასაკვირველია, ავიღებთ ხელს ახლად შეძენილ ცუდს ჩვეულებაზე, როგორიცაა ცარცვა-გლეჯა, ბავშვებისა და ვაჭართა ტაციობა და დახლიდრების „სამედიატორო სამართალში" წარა-მარად გაწვევა.

სვინდისს ქვეშ რომ ვსთქვათ, რით არ არის მეცნიერი დეკანოზი კ. კეკელიძე, ექ. თაყაიშვილი, თ. ჟორდანია? აღარას მოგახსენებთ მარრზე, ცაგარელზე, ი. ჯავახიშვილზე, ი. ყიფშიძეზე. ესენი უკვე ცნობილნი არიან როგორც მეცნიერნი და ემსახურებიან მეცნიერებას, ზოგი დიდია, ზოგი პატარა, მაგრამ რა უყოო. ყველა ხომ იალბუზად არ გაჩნდება, განა მყინვარი-კი გულს არ გვიფონებს?

არ ვიცი, რატომ არ უნდა ამშვენებდეს ჩვენს მომავალ აკადემიას დ. კარიჭაშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. გორგაძე, ი. აბულაძე, მ. კელენჯერიძე, კალ. ცინცაძე. განა გრ. ყიფშიძის შეუდარებელი ცოდნა ქართულისა გამოუსადეგარი იქნება თავისუფალ აკადემიაში? ვფიქრობ, რომ არა. ღრმად მრწამს, რომ თუ უზრუნველ ვყოფთ ზემოდ დასახელებულ მოღვაწეთ, მალე დაამშვენებენ იგინი აკადემიას თვისის უნარით და თვითონაც დამშვენდებიან, გაბრწყინდებიან.

ყველას ვერ ჩამოვივლი, მაგრამ სხვებიც ბლომად არიან ღირსნი აკადემიის წევრობისა. ათეულობით გამოჩნდება ჩვენში ასეთნი და ერთად შეკრეფილნი სასწაულს მოახდენენ.

თავისუფალ აკადემიის უზრუნველ საყოფელად საჭიროა ერთი მილიონი მაინც. მისი სარგებელი სამოცი ათასი მანეთი ადვილად შეინახავს თხუთმეტს მეცნიერებისთვის გადამდგარ კაცს, თითოზე რომ სამასი თუმანი ვიანგარიშოთ წელიწადში, ხოლო დანარჩენი 15,000 მ. შენობის შენახვას და წიგნების შეძენას და აკადემიკოსთა ნაწარმოებთა ბეჭვდას ეყოფა.

კვლავ გაიღიმებთ, სადაა ერთი მილიონი თეთრიო. არის, თუ მოვძებნით, განა ისე დაჰკნინდა საქართველო, რომ ერთ მილიონს ვერ მოუყრის თავს? მარტო ი. ა. მანსვეტაშვილს შეუძლიან ეს საქმე ითავოს. სხვებიც ხომ არიან ფულიანნი. თუ ა. ი. მანთაშევმა ეჩმიაძინი გაამშვენიერა, პარიზში ეკლესია აავო რატომ ი. ა. მანსვეტაშვილს არ ძალუძს თავისუფალ აკადემიის აგება. ეს გახლავთ, მკითხველო, ჩემი საახალწლო მოლოცვა.

**ალ. ყიფშიძე.**

## ტყვედ ქმნილი

დატყვევებული, ბორკილებით მაგრად შეკრული, საკანში იჯდა, ფანჯრიდან მხოლოდ თვალს ადევნებდა ციხის კედლებთან მდოვრე მდინარეს, შეუფერებლად, დიდებულად წინ მსვლელ მდინარეს,

— ოჰ, ბედნიერო, თავისუფალო! კაცად შობილი შენატროდა უსულო არსსა, მაგრამ ძლიერსა, ხელშეუხლებლად წინა მორბედსა—და მძიმედ ჰკვნეს.

— შენ მიხვალ იქა, სადაც მიგიხმობს შენი ბუნება, შენი სურვილი, შენ გადუკოცნი გულ-მკერდს შენ სატრფოს ველ-მინდორს, კორდებს აყვავილებ, სიცოცხლეს მოჰფენ შენ გარეშემო და მე კი, მე კი—სამყაროს მეფეს—აქა მიჯაჭულს, მხოლოდ ფიქრებით, მტანჯველ ფიქრებით ძალმიძს გავითვალისწინო ჩემი ქვეყანა, სატრფო გულისა, მშობელი დედა ჩემთვის მკვნესარე და კვნესად ვიქცე, უძლურად ვიჯდე, კბილების ღრჭენით!

ოჰ! ბედნიერო, ვით შევადარო შენ უტყვ ბუნებას ჩემი მეტყველი უბედურობა?

რად მინდა აზრნი ცეცხლის მფრქვეველნი, რად მინდა გრძნობა მწველი, მდაგველი, თუ ხორცი ჩემი შებორკილია?.. თუ შენებრ ლურჯო, ანკარავ, ტკბილო, არ ძალმიძს წასვლა, რომ გადევხვიო რაც რომ იზიდავს ჩემს აზრთ მსვლელობას, ჩემ შეუკავებელ ფიქრთ მდინარებას?

მაგრამ, მდინარევ, თავისუფალო, კაცი ბატონი შენ კი ვერ შეგკრავს, ტყვეობის ბორკილს შენც ვერ დაგადებს?

ის, შეგკრავს, შეგკრავს! თუ მოინდომებს...

მაგრამ მდინარევ თავიხუფალო, შენ ვერ გაიგებ კაცთ მაცდურობას!

მათ თვითონ შექმნეს ტყვეობის კულტი და რომ დრო მოვა თვითვე დაამტვრევს.

მაშ წადი, წადი, იდინე მანამ—მანამ შეგკრავდეს და მე კი დიდხანს ცდა მომინდება, მინამ დაამტრევს.

**ეკატერინე გაბაშვილი.**

## მესტამბე და რედაქტორ-კორექტორი ძველად

(მოკლე მიმოხილვა)

ძველად, ძველის-ძველად, რასაკვირველია, სტამბა არ იყო. სტამბა ახალი ხილია და თან მოჰყვა კაცობრიობის წინ-სვლას, გონებრივს წარმატებას, ტეხნიკის განვითარებას. ხუთას წელიწადზედ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სტამბა მოიგონეს ევროპაში და მხოლოდ სამასის წლის შემდეგ გაჩნდა ჩვენში. პირველად მეფე ვახტანგ რჯულ-მდებელმა იზრუნა ამ საქმისათვის ამ ორასი წლის წინად და „მოილო" სტამბა ვლასეთით. ამ საქმეში დიდად დაეხმარა მაშინ კიშინიოვში და კრემენჩუგში მყოფი მღვდელ-მონაზონი გაიოზ ნაცვლიშვილი, შემდეგ პირველი რექტორი თელავის სემინარიისა და მთავარ-ეპისკოპოსი მოზდოკისა და ყიზლიარისა.

პირველი მესტამბე, რომელიც მოჰყვა თან ვლასეთიდან გაიოსისგან გამოგზავნილ სასტამბო მოწყობილობას, იყო სტეფანე ვლახელი. პირველმა სტამბამ დაჰბეჭდა რამოდენიმე საეკლესიო წიგნი 1710—11 წ. მეორე მესტამბე უკვე ქართველი იყო და 1712 წელს დაიბეჭდა მის ხელ-მძღვანელობით „ვეფხის-ტყაოსანი".

აი რა წარწერა ჰქონდა ბოლოში ამ წიგნს:

აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა, უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ-გულთა თმენისა, მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ-მქმნელისა

და ნაღვაწი მისის მლოცველისა მესტამბე მიქაელისა.
დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონსა*) სრულსა.
ყველა კასა უხაროდა: რიტორსა და ხმა უსულსა.
საღმრთოთა და საეროცა, ვისაცა აქვს სმენა გულსა
და უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა—გულს უსრულსა.

დიაღ, ძველის-ძველად სტამბა არ იყო და, როცა შემოიღეს, მაშინაც დიდხანს ვერ გასძლო, სულ რამოდენიმე წელიწადს იბოგინა და მალე ისევ მოისპო ქვეყნის აღრევისა და მტრის რბევა-თარეშის მიზეზითა, მაგრამ სამაგიეროდ იყო გუნდი გადამწერთა, ესრედ-წოდებულ მჩხრეკავთა**) და გამოცდილ კალიგრაფებისა. თვით მწერალნი კალიგრაფნიც იყვნენ და თავიანთ თხზულებას და ნათარგმნს რამდენსამე ეგზემპლიარად სწერდნენ, მჩხრეკავთაც აწერინებდნენ და ავრცელებდნენ. ამ სახით, გადამწერ-კალიგრაფები სტამბის როლს ასრულებდნენ, სტამბის შემოღების უწინარეს; ხოლო მწერალნი, ხმთზველნი და მთარგმნელნი, ცოტად თუ ბევრად, მოგვაგონებენ დღევანდელს რედაქტორებს. ეს მწერალ-მთარგმნელნი ეხვეწებოდნენ გადამწერ-მჩხრეკველთ, როგორც დაგვიწერია, ისე დასტოვეთ, ნუ შესცვლით ნურცა ერთსა ასოსაო. ასეთია, მაგალითად, წყევა საბა-წმინდურ მთარგმნელთა. ასეთივე იქმნებოდა, ალბად, ხან-მეტურთა მთარგმნელთაცა. ასეთივეა შესანიშნავი მინაწერი***) ათონელთა ერთ-ერთის მთარგმნელისა, რომელმაც ნამდვილი რედაქტორობა გაუწია სახარება-სამოციქულოს და სხვა საეკლესიო წიგნებს, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს და ახლაც ისე და იმ სახით დარჩა სახარება-სამოციქულო და ზოგიერთი სხვა საეკლესიო წიგნი, რა სახეც მისცა გიორგი მთაწმინდელმა.

ასეთსავე რედაქტორის როლში გამოდის დამწერი წმ. ეფთვიმე ათონელის ცხოვრებისა მიქელ დადილისონელი. „მამასახლისობისა გიორგი ოლთისარისსა, დეკანოზობასა იაკობ მღვდელისასა თვინიერ სასყიდლისა და ყოვლისავე საფასოისასა". იგი ამბობს, სასყიდელი და საფასე, არა ამილიარა, მხოლოდ ეტრატი მიბოძა იაკობ დეკანოზმა და ნურავინ იზამს იმ საშინელს საქმეს, რომელიც ჰქმნა ვინმე ოზან: ალაგ-ალაგ აუხოცია (წაუშლია) სიტყვები და სხვა ჩაურთავსო. „ან თვინიერ ალხოცილისაო,—იხვეწება მწერალი და ბიოგრაფი მიქელ,—სხვაი ვინცა ვინ რაი ანუ ჩაურთოს, ანუ ამოჰხოცოს, ამცახოცილ არს სახელი მისი წიგნისა მისგან ცხოველისა!" მამაი ეფთვიმე ესრედ გვწამს, ვითა იოანე ოქროპირი.

გრ. ყიფშიძე.
(დასასრული იქნება)

## საკრედიტო კოოპერაცია აღმოსავლეთ საქართველოში.

1915 წლის ბოლოს მთელ აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გუბერნიაში) მოქმედობს 150 საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ეს ამხანაგობები მაზრებად ასე იყოფებიან:

| | | |
|---|---|---|
| გორის მაზრაში | . 32 | ამხანაგობა. |
| დუშეთის „ | . 13 | „ |
| თბილისის „ | . 25 | „ |
| სიღნაღის „ | . 22 | „ |
| თელავის „ | . 13 | „ |
| თიონეთის „ | . 4 | „ |
| ბორჩალოს „ | . 25 | „ |
| ახალქალაქის „ | . 13 | „ |
| ახალ ციხის „ | . 1 | „ |
| და ზაქათალ. ოლქში | 2 | „ |

უკანასკნელ 1915 წელს ამ 150 ამხანაგობიდან გაიხსნა და მოქმედება დაიწყო 12-მა: ამათგან თელავის მაზრაში გაიხსნა სამი ამხანაგობა (ს. რუისპირში, ფშაველში და კონდოლში), სიღნაღისაში სამი (ს. საქობოში, ნანიანში და ზემო-მაჩხაანში), ქ. თბილისში—ერთი (მესამე თბილისის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა), თიონეთის მაზრაში—ერთი (ს. ალვანში), და ბორჩალოს მაზრაში—4. თუ სახეში იმ გარემოებას მივიღებთ რომ არსებული ამხანაგობები, ერთი-ორი მიყრუებული სოფლის გარდა, თითქმის მთელ მხარეს სწვდება და მოქმედებაში ჩაუბამს, მომავალში მოსალოდნელი არ არის საკრედიტო ამხანაგობათა დიდი რიცხვითი ზრდა. სამაგიეროდ მოსალოდნელია არსებულ ამხანაგობათა დიდი მოქმედების გაცხოველება და გაინტენსიურება. აღსანიშნავია ახალციხისა და თიონეთის მაზრაში და ზაქათალის ოლქში კოოპერატივების გამრავლება, რომ ნელის ტემპით მიდის. ამის მიზეზად უნდა დავასახელოთ მომქმედ ინტელიგენტურ ძალთა დიდი ნაკლებობა ადგილობრივ და საზოგადოებრივი ინიციატივის საერთო სიღლუნე. არავინაა, რომ ამ სასარგებლო საქმეს ენერგიულად გამოუდგეს, და გაამრავლოს ამხანაგობები. ამ მხრივ ზემო აღნიშნული მაზრები და სხვა მაზრების ზოგიერთი კუთხე, უმეტესად-კი მთის ნაწილები, მოკლებული არიან ამ საჭირო ორგანიზაციას. კერძოთ ახალციხის მაზრის შესახებ არ ითქმის რომ ქართველ მაჰმადიანებში ომს ხელი არ შეეშალოს ახალ კოოპერატივების დაარსებისათვის.

ზემო მოხსენებულ 150 ამხანაგობებში 1915 წლის დასაწყისში ითვლებოდა სულ 53.154 წევრი; 1 ღვინობისთვემდე ეს რიცხვი გაიზარდა 61159-მდე. ამ რიგად მთელ გუბერნიის (ქ. თბილისს გარდა) მცხოვრებთა (კომლთა) რიცხვიდან მხოლოდ 61.159 მონაწილე ჰყავს საკრედიტო კოოპერაციას. შედარებით ეს რიცხვი მცირეა, მაგრამ, რაც უმთავრესია, კოოპერატივი პროგრესიულად იზრდება და მატულობს. თვის მოქმედების რაიონში ყოველი კოოპერატივი დიდს ნდობასა და თანაგრძნობას იმსახურებს საზოგადოების თვალში, რის გამოც კოოპერატივების წევრთა რიცხვი თანდათან მატულობს. ამასთანავე X გუბერნიაში მცხოვრებთა ზემომოყვანილ რიცხვის 10 პროც., მეტი ეკუთვნის მცხოვრებთა იმ კატეგორიას, რომელიც ვერ გახდება საკრედიტო ამხანაგობის წევრად თვით წესდების ძალით, ან და სრულებით არ საჭიროებს ამხანაგობის წევრობას.

ეხლა აღვნიშნოთ, თუ როგორ გამოიხატება ციფრებში აღმოსავლეთ-საქართველოს 150 ამხანაგობის საშუალებები და როგორ არის განაწილებული ეს საშუალებები. ქვემო აღნიშნული ანგარიში შედგენილია წარსული 1915 წლის 1 ღვინობისთვეს.

**პასსივი** (საშუალებები):

| | | |
|---|---|---|
| ძირითადი თანხა | საპატიო | 180,896—87 |
| | საკუთარი | 69,839—69 |
| | სახემ. ბანკიდან | 302,375— |
| სათადარიგო თანხა | | 29,945—80 |
| განსაკუთრებულ დანიშნულ. თანხები. | | 62,074—62 |
| მობარებული (შესანახად) ფული. | | 747,430—13 |
| სესხი | სახელმწიფო ბანკისგან | 1.410,850—35 |
| | კერძო ბანკებისგან და პირებისგან | 83,081—74 |
| საშუამავლო ოპერაც. შემოტანილი თანხა. | | 10,468—73 |
| გარდამავალი თანხა | | 45,168—99 |
| მოგება | | 269,590—61 |

**აქტივი**
(ამ საშუალებათა დანაწილება):

| | |
|---|---|
| შეტანილია სხვა საკრედ. დაწესებულებებში. | 72,626—99 |
| სარგებლიანი ქაღალდ. | 4,422—75 |
| გასესხებულია | 2,593,315—32 |
| ქონება (უძრავ-მოძრავი) | 25,500—69 |
| შეძენილი საქონელი | 129,442—44 |
| ხარჯები | 159,727—14 |
| ნაღდი კასაში. | 189,676—21 |
| **ბალანსი.** | 3,201,712—53 |

ამ გვარად **შუათანა რიცხვი** თვითეულ ამხანაგობის ბალანსის უდრის 21,344 მან. 75 კ. არიან ამხანაგობები, რომელთა ბალანსი გაიზარდა 300,000 მანეთამდე (თელავის შემნ.-გამს. ამხან.), 100,000 მანეთამდე (ველისციხის, გურჯაანის, აღბულაღის, მარტყოფის, გორის, ვორონცოვკის, საგარეჯოს და სხვა).

ამხანაგობათა დიდ უმრავლესობის ბალანსი უდრის დაახლოვებით 20 ან 25 ათას მანეთს; შეხვდებით ამხანაგობას, რომლის ბალანსი თითქმის 3 ან 5 ათას მანეთს უდრის (თორის, დაღეთის, ხიდისთავის, მლეთის და სხვა.) ამ პატარა ამხანაგობებს უილაჯობა, უსიცოცხლობა ეტყობათ. ზედმეტი არ იქნება იმ მიზეზების დასახელება, რომლებიც კოოპერატივის საქმეების გაფართოვების, ან მის უილაჯობის პირობებს ჰქმნიან. საქმისადმი სიყვარულით გატაცებული და ენერგიით აღჭურვილი პირები, უუპირველესი და უუსაჭიროესი ფაქტორები არიან კოოპერატივის განვითარება-აყვავებისათვის. მაგრამ ეს ერთი პირობა არ კმარა, საქმეში კარგათ ჩახედული და ენერგიით აღსავსე პირები დიდს ვერაფერს გააკეთებენ, თუ მათ მიერ შექმნილ კოოპერატივს ფართო სამოქმედო რაიონი არ ექნა. 300 თუ 400 კომლიან რაიონში დიდი კოოპერატივი ვერ დაარსდება. ისიც არ კმარა, რომ რაიონში მრავალ რიცხოვანი მოსახლეობა იყოს. კოოპერატივი იმდენად აღწევს თავის მიზანს, რამდენათაც თავის მოქმედებას აღრმავებს. რამდენადაც იგი არ კმაყოფილდება მარტო სესხის გაცემის ოპერაციით არამედ ხელს მიჰყოფს საშუამავლო ოპერაციებსაც, აწვდის თავის წევრს შედარებით დაკლებულ ფასებში საუკეთესო ხარისხის საწარმოვო იარაღს, მიზნად ისახავს კულტურულ-განმანათლებელი საშუალებებით გლეხობას ცოდნა მიაწოდოს... თავის თავად ცხადია, რომ კოოპერატივის მუშაობისა ასეთი გაღრმავება იქ შეიძლება, სადაც ამას პირობები ხელს უწყობს. მაგალითად ვხედავთ, რომ: კოოპერატივების მუშაობა თან და თან ღრმავდება კახეთში, რადგან აქ მეურნეობის სხვა და სხვა კულტურა ამ ას ხელს უწყობს. შეიძლება გაღრმავდეს მუშაობა ისეთ რაიონებში, როგორიც ლიახვის ხეობა (მეხილეობა) და ჩვენი მთიულეთია (მეცხვარეობა). დახედეთ ზემო მოყვანილ ანგარიშს; იქ აქტივში დაინახავთ, რომ 1 ღვინობისთვეს შეძენილი საქონლის ფასი, რომელიც უმეტეს ნაწილად კახეთის ამხანაგობებში ამ დროს კიდევ გაუყიდავი იყო, უდრის 129.442 მ.-44 კ. ეს საქონელი უმეტეს ნაწილად წარმოადგენს ვენახის ავადმყოფობასთან საბრძოლველ წამალს შაბიამანს, გოგირდს და სხვას. იქ კი, სადაც მეურნეობა ერთ ფეროვანი და პრიმიტიულია და დიდ ხარჯს არ მოითხოვს, იქ, თავის თავად ცხადია, კოოპერატივი, ბევრსაც რომ ეცადოს, ვერ გააღრმავებს თავის მოქმედებას. ასეთ ადგილებში დიდი წინასწარი კულტურული მუშაობაა საჭირო, რასაც კოოპერატივები ვერ შეასრულებენ.

(ემდეგი იქნება).

დ. ჩ—ძე.

## საქართველოს ეკლესია 1915 წელში

გასულ წელს ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში მაინცა და მაინც ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა; უმაგალითო მსოფლიო ომმა იმდენად შეგვიპყრა ყოველმხრივ, რომ, მაგალითად, ქართლ-კახეთის ეპარქიაში. შარშან სამღვდელოების ჩვეულებრივი კრებაც კი არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე ფაქტს მაინც უნდა მიექცეს ყურადღება.

პირველად ყოვლისა ამ ომმა, ეროვნულ მისწრაფებასთან ერთად, შესამჩნევად გააღვიძა ჩვენში საეკლესიო საკითხი და ფართო საზოგადოებრივი ინტერესი მოუპოვა მას. საკმაოა მოვიგონოთ, რომ ჩვენი პრესა, რომელიც ერთ დროს, აი და „კლერიკალობა" არ დამწამონო, საეკლესიო საკითხებს დაჟინებით გაურბოდა, ეხლა თამამად უთმობს ადგილს ამ საკითხებს; ასე რომ, დღეს საეკლესიო საკითხი მარტო მღვდლებისა და დიაკვნების საკითხად აღარ ჩაითვლება ჩვენში. ის მხურვალე მონაწილეობა, რომელიც მიიღეს ეგზარხოსის პიტირიმის გაცილებაში ჩვენმა ინტელიგენტებმა და თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა, ამის უტყუარი მომასწავებელია. წარსულმა წელმა იმედი გაგვიცხოველა ყველას, რომ ბედკრულ საქართველოს ეკლესიას შეიძლება დაუბრუნდეს ის ავტოკეფალური უფლება, რომლითაც ის 15 საუკუნე სარგებლობდა. ასი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, შარშან, გამოჩნდა ისეთი ეგზარხოსი, რომელმაც ეს უფლება სცნო,—ეს იყო ყოვლად-სამღვდელო პიტირიმი, ამბობენ პიტირიმი პეტროგრადშიაც ამავე ხალისით ეპყრობა საქართველოს ეკლესიის საკითხს, როგორც ჩვენში ყოფნისას; მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, თუ ჩვენც ხელს შეუწყობთ, ის,—დღეს მთელი რუსეთის ეკლესიის გამგე,— სასურველ მსვლელობას მაინც მისცემს ამ საკითხს, მით უმეტეს, რომ, როგორც ბესარაბიის სამღვდელოებამ გვამცნო, პიტირიმის მოადგილედ ჩვენში დაინიშნა ისეთი მღვდელ-მთავარი, რომელიც საეკლესიო-ეროვნულ საკითხს პატივის ცემით ეპყრობა. თუ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულ, დამოუკიდებელ ეკლესიას, ამას კარგად ვხედავთ ჩვენი მეზობლების, სომხების, ცხოვრებაში; ამიტომ ჩვენ გვმართებს მუყაითი მუშაობა, რომ ჯეროვანი ნიადაგი მოუმზადოთ ამ საქმეს და შევქმნათ ისეთი რეალი პირობები, რომელშიაც ავტოკეფალობა აკეფალობად არ გადაიქცევა და საეკლესიო ცხოვრება უფრო აყვავდება. რა გინდ იდეალური იყოს მართვა-გამგეობის ფორმა, თუ მის განსახორციელებლად მოხდენილი პირობები არ არსებობს, ის უვარგისი გახდება. ჩვენ ყველა გავიძახით: ავტოკეფალია, ავტოკეფალია! მაგრამ რა არის ეს ავტოკეფალია, რა პირობებშია ის სასურველი, რა ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს და განსახიერდეს, ამაზე არავინ არ ფიქრობს. ჩვენში არიან ისეთი მოძღვრები, რომელთაც თავიანთ ეკლესიაში ხატებიდან მტვერი ვერ ჩამოუბერტყიათ და „საზოგადო მოღვაწეებში" კი ეჩხირებიან; მის მაგიერ, რომ ამ საკითხზე იფიქრონ, ისინი ყოველგვარ საჯარო კრებაზე გძელ-გძელი და პრტყელ-პრტყელი სიტყვებით გამოდიან, „რათა იხილონ იგინი კაცთა და იდიდნენ მათგან".

მეორე საგულისხმიერო მოვლენა წარსული წლის საეკლესიო ცხოვრებაში—ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნაა. თქმა არ უნდა, ისეთ პატარა და ბედშავ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი სამშობლოა, სემინარიის გახსნა, როგორც ერთგვარ განმანათლებელ ცენტრისა, სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს;

ახალ სემინარიის გახსნას შედეგად თუ მოჰყვა თბილისის სემინარიაში ქართულ ელემენტის შემცირება და იმისი გარუს-გაბერძნება, განა ეს სასურველი მოვლენა იქნება?!

საყურადღებო ფაქტად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ალავერდის კათედრის აღდგენა. დიდებულ მცხეთის საკათალიკოზო მეოცე საუკუნის დამდეგს მხოლოდ ორი ქართველი ქორეპისკოპოზის, გორისა და ალავერდის, ამარა დარჩა. მაგრამ ჩვენ სულიერ მესვეურებს ესეც შეშურდათ ჩვენთვის და, ამ სამიოდე წლის წინედ, მათ ჩაიდინეს დიდი უსამართლობა: ალავერდის კათედრა დახურეს და იმის შესანახ ხარჯით გახსნეს რუსებისათვის ბაქოს საეპისკოპოზო. გასულ წლის დამლევს ეს უსამართლობაც აღიარებულ იქმნა და კახეთს განუახლდა სარწმუნოებრივი ცენტრი. იმედია, ამბა ალავერდელს ჩვენს დროშიაც ისეთივე კულტურულ-განმანათლებელი მნიშვნელობა ექნება, როგორც ჰქონდა მას ძველად.

დასასრულ ჩვენი ცხოვრების მემატიანემ სიამოვნებით უნდა აღნიშნოს, რომ ამ უკანასკნელ დროს შესაფერ ალაგს იპყრობენ ჩვენი საეკლესიო სიძველენი. მეცნიერებამ უცილებელ ფაქტად აღიარა, რომ ისტორია-არქეოლოგიაში ერთი საკითხის გაშუქებაც არ შეიძლება ისე, თუ ანგარიში არ გაეწია ქართულ სამწერლო ნაშთებსაც. და აი, წარსულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპას ცეცხლის ალი ახვევია, პარიზში გამოვიდა იაკობის ლიტურღიის ქართულ ვერსიის ინგლისური თარგმანი, რომელიც ეკუთვნის დოქტ. კონიბირსა და ოლ. ვარდორპს. განსაკუთრებით ინტესიური მუშაობა ამ მხრივ წარმოებდა პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიაში. აკადემიკოსის ნ. მარრის ხელმძღვანელობით აქ დაიწყეს შარშან ბეჭდვა ქართულ ბიბლიის უძველეს ვარიანტისა; აქ შეიწყნარეს შარშან იმავე მარრის პროექტი, რომლითაც საფუძველი ედება დიდ ეროვნულ-კულტურულ საქმეს: თბილისში იწყება სისტემატიური ბეჭდვა, დეკ. კ. კეკელიძის ხელმძღვანელობით, ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ტექსტებისა, რომელიც რვა უზარმაზარ ტომადაა ნავარაუდევი. ერთი სიტყვით, ნიადაგი უმზადდება ქართულ მეცნიერებას და ღვთისმეტყველებას, რომელიც დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს დამოუკიდებელ, ეროვნულ ეკლესიისა.

## სწავლა-განათ. მდგომარეობა გასულ 1915 წ.

(მოკლე მიმოხილვა)

რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოთავსებულია მრავალი ერი, რომელთა შორის ქართველი ერი ერთი უძველესთაგანია თავის ჩამომავლობით, ისტორიით და კულტურით, მაშინ, როდესაც რუსების შესახებ ისტორია ცნობებს იძლევა ძლივს ძლივობით მეათე-მეთერთმეტე საუკუნიდან ქრისტეს დაბადების შემდეგ, ისტორია ჩვენს ერს იხსენიებს, როგორც კულტურულ ერს რამდენიმე საუკუნის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე. ქართველმა ერმა გამოიჩინა იშვიათი ცხოველმყოფელობა, სიცოცხლის ძალა, ამოდენა საუკუნოების განმავლობაში და დღესაც სრულის ძალღონით ხვდება მომავალს. ქართველი ერი თუ წინ არა დგას, უკან არ ჩამორჩება სახელმწიფოს შემადგენელ არც ერთ ერს თავისი ნიჭით, ცოდნის შეძენის უნარით, ევროპიულ კულტურის შეგნება-შეთვისებით. ამ უკანასკნელი 10 წლის ისტორიამ და დღევანდელმა ომმა ნათლად დაგვანახვა ყოველივე ეს. ყველა დაკვირვებული, ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაში ჩახედული მეთვალყურე ქართველი დარწმუნებულია, რომ თუ კი ქართველ ერს ისეთ გარემოებაში ჩავაყენებთ, რომ შეძლება ექნება სამშობლო ნიადაგზე დამყარებული სწავლა განათლება მიიღოს, მაშინ ჩვენი ხალხის შემოქმედება მძლავრად გაიშლება და ისეთ ნაყოფს გამოიღებს, რომელიც მას (ერს) მსოფლიო განათლებულ ერთა გვერდში ამოუყენებს. დღეს კი რასა ვხედავთ? ჩვენი ერი სრულიად მოკლებულია ნაციონალურ ნიადაგზე დამყარებულ სწავლა აღზრდას, ე. ი. მოკლებულია მას, რაც შეადგენს ერის განათლება-გათვითცნობიერების ქვაკუთხედს. ქართველ ხალხს სწყურია სწავლა, ძლიერი ლტოლვილება აქვს მისადმი, იგი ნათლადა ხედავს, მეტადრე დღევანდელ ორომტრიალში, სწავლის მნიშვნელობას, იგი მომშეულია ამ მხრივ და ხმა მაღლა მოითხოვს სულიერ საზრდოს, მაგრამ მას ხშირად პურის მაგიერ ქვას ვაწვდით, ან პურის ისეთ სურროგატს, რომელსაც კუჭი ძნელად ინელებს. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც გულს არ იტეხს, უკანასკნელ გროშს არ იშურებს სკოლისთვის, ხალხს სწამს, რომ მოვა დრო, როდესაც მის კანონიერ სურვილს აღსრულებაში მოიყვანენ და მოუკლავენ სწავლა-განათლების სურვილს მის შვილებს, რომელთაც ეს უფლება უკვე მოიპოვეს ომის ველზე დანთხეული წმინდა სისხლით. თუ გადავავლებთ თვალს სწავლა-განათლების საქმეს, გასულ წელს, შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ საქართველოში ბევრი არა გაკეთებულა რა მთავრობის მიერ. საზოგადოთ ძალიან ცოტა ახალი სკოლები იყო გახსნილი, ისიც საზოგადო განათლების ხასიათისა და პროგრამის. რასაკვირველია ასეთი სკოლებიც საჭირონი არიან, მაგრამ ხალხის დღევანდელი ეკონომიური ვითარება-გარემოება ისეთია, რომ მისთვის არსებითი, ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობა აქვს აგრონომიულ, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, საცდელ მინდვრებს, აგრონომიურ კურსებს და სხვ. მა მხრივ კი გასულ წელს თითქმის არა გაკეთებულა რა მთავრობის მიერ. ერთად ერთი ხსნა, ჩვენის აზრით, კერძო ინიციატივის განვითარებაა, მაგრამ ამ მხრივაც გასული წლის ცხოვრება ძალიან მოდუნებული იყო. მიუხედავად ყოველივე ამისა, გასული წელი ერთის მხრივ აღსანიშნავი იყო: მზადდებოდა ნიადაგი უფრო ინტენსიური მოქმედებისათვის მომავალში. ამ მხრივ რამდენიმე ფრიად სასიამოვნო და საიმედო მოვლენა შეიძლება აღვნიშნოთ. თავდაპირველად უნდა მიუთითოთ მკითხველს იმაზედ, რომ ივლისის კანონი, კერძო სასწავლებლებში დედა ენაზე სწავლის დამყარების შესახებ, უკვე პრაქტიკულ ნიადაგზე მყარდება ჩვენში. თბილისის და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებში და თბილისისავე „განათლების" საზოგადოების ქალთა სკოლაში ენკენისთვიდან უკვე შეუდგნენ დაბალ კლასებიდან დედა-ენაზედ საგნების სწავლებას. უეჭველია, ეს ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ ეს სიძნელე მალე დაძლეულ იქნება და საქმე სასურველ მიმდინარეობას მიიღებს.

მეორე ფრიად საყურადღებო, დიდ მნიშვნელოვანი და სასიამოვნო მოვლენა, რომლის არ აღნიშვნა შეუძლებელია, ეს არის ქალთა ქართული სემინარიის დაარსების საკითხის გარდაწყვეტა. ქალთა ქართული სემინარიის დაარსება მაშინ, როდესაც საყოველთაო სავალდებულო სწავლა კარს გვადგია, ფრიად საჭირო და ნაციონალურ საქმედ მივაჩნია. გასულ წელს ეს საკითხი მომწიფდა, გადასწყდა და მტკიცე ნიადაგზე დამყარდა: თბილისის თავად აზნაურობამ, წ.-კ. საზოგადოებამ და კერძო პირებმა უხვი შეწირულობით სემინარიას წელი გაუმაგრეს და ზოგიერთა ოცნება ფაქტად აქციეს.

ვ. ჯაფარიძე.
(დასასრული იქნება)

## შენიშვნები კოოპერაციაზედ

წარსულმა წელმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ქართველ ერს, გარდა პოლიტიკური ალღოსი, უნარიცა აქვს ყოველგვარ გაჭირვებასთან ბრძოლისა. ამის უტყუარ საბუთს გვაძლევს გამრავლება ორგანიზაციებისა, რომელნიც ხელს უწყობენ მატერიულ გაღონიერებას, და უკვე არსებულთა გამაგრებას. იმის მიუხედავად, რომ ომმა შეარყია მთელი ჩვენი ეროვნული მეურნეობა, ან უკეთ რომ ვსთქვათ მისი მეოხებით,—მთელი ერი ირაზმება ეკონომიურ [illegible] წყებებით, საერთო მიზნების მისაღწევად. ომმა თუ გამოაცალა ერს მუშა ხელი და მიწას მოსწყვიტა მისი მხვნელი, იმავე ომმა ნათლად დაგვანახვა საჭიროება შეერთებისა და ერთობლივი შეჭიდებისა ყველა თავდატეხილ და მოსალოდნელ უბედურებასთან.

ესეთი ამღზდელობითი მნიშვნელობა ომისა, მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი ბუნებრივ ისტორიულიც არის ქართველობისათვის, რომელიც ომიანობის დროს გაერთიანდებოდა ხოლმე და მეორეს მხრით—საგულისხმოა იმ უკიდურეს ინდივიდუალიზმის განელებით, რომელიც ახასიათებს უკანასკნელ დროის ქარლველობას.

მძლავრი კოოპერატიული მოძრაობა, რომელმაც თანაბრად იჩინა თავი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, შემქმნილია ერთის მხრით საერთო საორგანიზაციო და ეკონომიური ძლიერებისა, რაც ჩვენ დროში უდიდეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ერის ცხოვრებაში, და მეორეს მხრით—იგი ასუსტებს იმ ინდივიდუალიზმის უკიდურესობას, რომლის ძალითაც სამი ქართველის კრებული ხუთი სხვა და სხვა მრწამსის კრებულიც უნდა იყოს იმავე დროსა. შეთანხმების და სოლიდარობის ნამდვილი საფუძველი საერთოდ შექმნილ საქმეებშია, და არა მდგომარეობს თეორიულ შეთანხმებასა და ბლოკებში, რომელნიც იმდენადვე ადვილად იფანტებიან, რამდენადაც ძნელად ჩნდებიან.

კოოპერატიულს მოძრაობას ჩვენთვის აურაცხელი სიკეთის მოტანა შეუძლიან ყოველმხრივ და იგი უნდა საფუძვლად დაედოს ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკასაც. საქმე ისაა, რომ ბურჟუაზიულ კაპიტალისტური წყობილებისათვის, რომელსაც უეჭველია თავისი ორგანიზაციული და პროგრესიული ელემენტებიცა აქვს—ჩვენ დავიგვიანეთ; უცხო კაპიტალს და ბურჟუაზიას ჩვენში იმდენად აქვს მოკიდებული ფეხი, რომ მისი განდევნა მხოლოდ მწყობრი იერიშებით შეიძლება და ამისათვის-კი საკმაოდ განვითარებული საკუთარი ბურჟუაზია არა გვყავს. ის კანტიკუნტი წარმომადგენლები, რომელნიც დღესვე მოქმედობენ, ჯერ შეუუკავშირებელნი არიან და თუმცა თვისი არსებობით უკვე უწყობენ ხელს უცხო ელემენტების შეზღუდვას—მაგრამ ეს ჯერ შეუგნებელი პროცესია, რომლის გაღრმავებისათვის უფრო დიდი დრო და დიდი ენერგია არის საჭირო. ამ მხრივ კოოპერაციას—გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ერის ჯანსაღი არსებობისათვის და ყოველი შეგნებული ქართველი მას უნდა უწყობდეს ხელსა. კოოპერაცია თანაბრად საჭიროა როგორც ქალაქსა, ისე სოფელში და თანაბარის სიძლიერით ემსახურება საერო საქმეს. მაშინ როდესაც ინდივიდუალური სიმდიდრის პატრონის შეგნებაზე, გუნებაზე და სურვილზეა დამოკიდებული, მისი სიმდიდრის გამოყენება საზოგადო-ეროვნულ საქმეზედ, თვით კოოპერაციის სული—საერთო მიზნებისათვის მოსამსახურეც. გარდა იმისა, რომ კოოპერაცია წარმომშობია ხალხის ფართო ჯგუფების კეთილ-დღეობისა, იგი შემაკავშირებელი ძალაა უკეთესი მომავალისათვის. და თუმცა ჩვენ არამც თუ უარყოფით არ ვუცქერით ბურჟუაზიას, არამედ, როგორც ერთ-ერთ საშუალებას ეროვნული ბრძოლისას, კიდევაც ვამხნევებთ—ჩვენ უფრო მეტად უნდა ვემსახუროთ ამის თანა ძლიერს კოოპერაციას.

ამას გვიკარნახებს როგორც საღი ეროვნული ალღო, ისე კოოპერაციის გამოცდილი ძალა უცხოეთსა თუ ჩვენში. კოოპერაციის პრინციპი მით უფრო კარგაა გამოჭრილი ჩვენზედ, რომ ჩვენს ხალხს ისტორიულად შემუშავებულიც აქვს თანამშრომლობა, როგორც მაგალითად მამითადი, მოდგამობა და სხვ. კოოპერაცია მხოლოდ უფრო სრულია და მეტი დარგის შემოფარგვლა შეუძლიან. საერთო წარმოება, საერთო გასაღება თუ საერთო მოხმარება—აი ყველა ის მხარე, რომლითაც განისაზღვრება ეკონომიური წყობილება, და ამ სამთავ მხარეს თანაბარის სიძლიერით შეუძლიან გაუძღვეს კოოპერაცია. ამის მაგალითებს უკვე მრავლადა ვხედავთ როგორც უცხოეთში, ისე ჩვენშიაც. საკრედიტო ამხანაგობანი, მწარმოებელთა და გამსაღებელთა შეერთება, მომხმარებელთა შეკავშირება—ყველა ეს თვალსაჩინო ამბები ჩვენ თვალწინა ხდება და უკანასკნელ—წელიწადის მძლავრ ბეჭედს ატარებს. [illegible] მოვლენა მეტად გამამხნევებელ[illegible] ვინც ღრმად ჩაუკვირდება მას. [illegible] ეცდება ახლო გაეცნოს. ჩვენი [illegible] ყოველგვარად მივეშველნოთ [illegible] თო მოძრაობას და მწყობრი უნდა ეროვნული მიმდინარეობა [illegible] ობაში. რადგან მხოლოდ ეროვ[illegible] თვითკმარი ცნება, [illegible] დაეყრდ[illegible] შეეწიროს ყოველი [illegible] ნების ყო[illegible] ენერგია, გრძნობა [illegible] იმპერატო[illegible] მ.)

*) 1712 წ.

**) . . . „და ლოცვა ჰყავთ ჩემ ულირსისათვისაცა, რომელმან **დავჩხრიკე**",—ამბობს გადამწერი ილარიონ ქართველის ცხოვრებასა.

„ . . . „ლოცვა ყავი ულირსისა ზოსიმერათეის, რომელმან **დავჩხრიკე** წმიდაი ესე წიგნი". . . .

***) სამწუხაროდ, ჯამ ჟამად ხელთ არა მაქვს ის მინაწერი, რომ სიტყვა-სიტყვით მომეტანა აქა.

# საქართველოს სხვა და სხვა მხარე 1915 წ.

## წარსული წელი

### სოფლად.

წარსული წელიწადი წარუხოცელ ხანად დარჩება ჩვენი სოფლის ცხოვრებაში. ომი, მოუსავლობა, ბუნების სტიქიური მრისხანება, — ყველაფერი ერთად დაატყდა თავს და მთლად შეარყიეს მისი ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობა, წარმოშვეს მრავალი ახალი საკითხი და საჭიროება, გააძლიერეს და გააღრმავეს უკვე დაწყებული საქმიანობა და ბევრი ახალი საქმისთვის მოაკიდვინეს ხელი სოფლის მცხოვრებთ, რომ თავი დაეღწიათ მრავალგვარ მოვლენილ განსაცდელისთვის. ჯერ იყოდა სამხედრო ბეგარამ მთლად გაჰკრიფა მუშა ხელი. გასულ წლის თვეებში ბევრი იყო ისეთი სოფელი საიდანაც ლაშქარში იყო გაწვეული მთელი მუშა ხელის 27—29 პროც. თუ მუშა ხელად ვიანგარიშეთ ყველა მამაკაცი თექვსმეტიდან სამოც წლამდე. ამის შესახებ სტატისტიკური ცნობები სხვა დროს გვქონდა დაბეჭდილი.

მას შემდეგ ახალგაზდობა კიდევ ორ გზობა გაიწვიეს; გაწვეულ იქმნენ აგრეთვე პირველი ჯერის მოლაშქრენი 1906 წლიდამ დაწყებული. ასე რომ გაწვეულ მუშა ხელის პროცენტმა ერთი ორად იმატა, ორმოც და ათამდე აიწია. სხვა წყაროების უქონლობის გამო, იძულებულნი ვართ ამ რამდენიმე სოფლის სტატისტიკურ ცნობით დავკმაყოფილდეთ და იგი ცნობა საერთო ნორმად მივიღოთ. ვგონებთ, იგი სინამდვილესთან ძალიან ახლო უნდა იყოს.

ამას, რასაკვირველია, საგრძნობელი ცვლილება უნდა შეეტანა ჩვენს სოფელში. ასეც მოხდა.

მოსულ ცნობებით ნახნავი და ნათესის რაოდენობა ძალიან შემცირდა. აიწია მუშა ხელის ფასმა, (ერთი ორიდამ—ერთ ხუთამდე). მამული ბევრგან დაუმუშავებელი დარჩა და ჩვენი, ისედაც უკან ჩამორჩენილი, მეურნეობა, მეტად სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა.

ეს უმწეო მდგომარეობა შემთხვევით ხასიათის მოვლენებმა უფრო გაალრმავეს. ჯერ იყო და გაზაფხულის ნიაღვრებმა მთლად წალეკეს ნახევარ საქართველო. დაგვღუპა არა თუ დიდი შრომით და ამაგით შექმნილი ქონება, არამედ აღგვემართა თვალწინ მთელის თვისი სიმწვავით ჩვენის ქვეყნის ტოპოგრაფიული სახის შეცვლა და მისი საშიში შედეგები.

აღმოჩნდა, რომ ჩვენის დაუდევრობით და სხვათა ბოროტ-მოქმედებით აჩეხილი მთა გორები ვეღარ იჭერენ წყალს, ძირს მოდიან და ქვეყნის ნაამაგარს წალეკვით ემუქრებიან.

მოუსავლობამ ხომ საერთო ხასიათი მიიღო. არამც თუ მთა, იმერეთი და კახეთი, არამედ, საქართველოს ბეღლებად წოდებული ტირიფონა და დოლლაურიც კი დღეს შემოტანილ ლუკმით იკვებება.

ისეთ ბედის მუხთლობის დროს, როდესაც ჩვენი გული, ფიქრი და აზრი იქ შორს, უცხოეთში წასულ ძმებთან არის, მოსალოდნელი იყო ხალხი სასოწარკვეთილებას მისცემოდა, გული გასტეხოდა მას, და სხვა და სხვა ცრუმორწმუნოების გავლენას დაჰყოლოდა.

მოსალოდნელი იყო, რომ

ხალხი, რომელსაც დახშული ჰქონდა თვით-მოქმედების ყოველგვარი საშუალება და რომელზედაც ჩაფრის მათრახს და ბოქაულის სილას აბატონებდენ,—რომ ასეთი ხალხი დაემორჩილებოდა უწყალო ბედს, მიეცემოდა პასიურ ყოფას—რაც მომივა—მომივიდესო და სათხოვრად ხელს გაიშვერდა. აქ შეუძლებელი არა იყო რა.

...სულ პრესაში („Рус. Вѣд.“, „День.“) ...ლ სოფელზედ დაბეჭდილი წერი... ...სავსეა ასეთ ცნობებით. ჩვენში ...როდ ეს არ მოხდა. ქართვე... ...ტორიულმა პსიხიკამ სძლია ...ბას ...უკუღმართ პირობებსაც ...წა ...ბედრი ის იყო, რომ, ახალ... ...ებლ...დ უბედურობაში იშვე... ...ჲ ჩვენი განახლება,

ფეხზე წამოდგომა დიდ გაჭირვების დროს, სწორედ განკითხვის დღეს დაიწყებოდა და იკვებებოდა ხოლმე— მაშინ დღევანდელ დღესაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

არასოდეს ისეთი ამოძრავებული, და ხელ-გამოღებული არა ყოფილა ჩვენი სოფელი, როგორც დღეს არის. საღი, ფხიზელი შეხედულობა, ნათელი წარმოდგენა შექმნილი მდგომარეობისა და შეუპოვარი სურვილი და გულგაუტეხელი ბრძოლა დანაკლისის ასანაზღაურებლად—ჩვენი სოფლის დამახასიათებელი თვისება ყველამ უწყის თუ როგორ გაძლიერდა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში გარდამწყვეტი მნიშვნელობის მქონე კოოპერატიული მოძრაობა. სოფელში მრავლად დაარსდა საზოგადო სავაჭრო სახლები, ბანკები, მწარმოებელთა და მომხმარებელთა საზოგადოებები.

დღეს უკვე წარმატებისაკენ უფრო დიდი ნაბიჯია გადადგმული. დაარსდა კახეთის საზოგადოებათა კავშირი. ამგვარივე მისწრაფებაა საქართველოს სხვა კუთხეებში. უფრო შეგნებულ წრეებში დიდია ტენდენცია კავშირთა კავშირის დაარსებისა. სოფელს ამ საშვილიშვილო საქმეში დღემდის უხილავი და უცნობნი, ბელადნი გაუჩნდნენ, რომლებიც ნაკისრებს საქმეს ღირსეულად ასრულებენ. არც ისეთს საქმეზედ აუღია ხელი ჩვენ სოფელს, რომლის შესრულება დღეს მეტად ძნელი უნდა იყოს. გაყვანილია რამდენიმე სარწყავი არხი (თორტიზა-გარეჯვარი), გაკეთებულია რამდენიმე გზა. არც მიწის შეძენაზე, კერძო საკუთრების განმტკიცებაზე უთქვამს უარი სოფელს. ჩვენი საადგილ-მამულო კომისიის და ბანკების ცნობებით მამული შეუძენია ჩვენს სოფლელს არამც თუ შიგ ბინადრობის შუაგულში, არამედ იქაც, საითაც უნდა წავიდეს ჩვენი მოსახლეობა — ბორჩალოს მაზრაში და სხვა.

გაძლიერებულა აგრეთვე წყურვილი სწავლის შეძენისა, ცოდნის მიღებისა. ჩვეულებრივად ჩამორჩენილი ქართლიც კი ახმაურდა. არის მრავალი შუამდგომლობა მზრუნველის წინაშე სკოლების გახსნის შესახებ. გამრავლდა აგრეთვე სოფლის გონებრივი სიფხიზლეც. არავითარი ნიშანი არ არის რომ ხალხი ამ განსაცდელის დროს ცრუ მორწმუნებას დასტანებოდეს. პირიქით, მრავალია სოფლის დადგენილება სხვა და სხვა დღეობის მოსპობის შესახებ—რაც უეჭველად გონების სიფხიზლეს უნდა მიეწეროს. სამაგიეროდ ნამდვილ და საღ რელიგიოზურ გრძნობას უბატონია ხალხში. „არასოდეს არ მახსოვს ეკლესია ხალხით ისე სავსე, როგორც დღეს. ყველას რაღაცა ღრმა რწმენის ღიმი და სასოება უქრით სახეზე“—იწერებოდა ერთ წერილში ჩვენი კორესპონდენტი.

გაზეთები დიდის ყურადღებით იკითხება სოფელში. გარდა პირდაპირ ომის მიერ გამოწვეულ ცნობის მოყვარეობისა და ინტერესებისა, გარდა ამბის გაგებისა, სოფელი კიდევ „რაღაცას“ ეძებს ამ გაზეთებში. ეს რაღაცა უეჭველად ქვეყნის მომავალი ხსნისა და შველის იმედი გახლავთ. გაუნათლებელს ჩვენს სოფელს თავისებურად აქვს წარმოდგენილი, ომის მიზეზებიც და მისი მომავალი შედეგებიც. ყველა ეს ჩვენი მასის განვითარების საფეხურის შესაფერ ლეგენდურ ფორმაშია გამოთქმული, მაგრამ ყველაფერი კი ხალხის სურვილებს და ზრახვებს, იმედს და რწმენას, მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკურ პერსპექტივას და ორიენტაციას დასტრიალებს. აშკარაა რომ ხალხის წინ მის სულიერ შემოქმედებაში, ფიქრში და დუმილში დღეს სამშობლოს საკითხია წამოყენებული, შემუშავებულია აზრი სამშობლოზედ, საქართველოზედ, როგორც განკერძოებული ერთეული, რომელიც გასაჭირშია და რომელსაც შველა უნდა, და ხსნა მოელის.

ყველას გაეგონება თქმულება ომის მიზეზის შესახებ:—(ქართლის ვარიანტით.) გერმანეთის ხელმწიფემ რუსთ ხელმწიფეს შემოუთვალა: იალბუზის მთა რომ არის, იქ თამარ დედოფალი ასვენიაო. ქვეყნიერებაზედ ერთი ის იყო, მეორე მე ვარო, მე უნდა მოვიდე პატივი ვცეო. რუსთ ხელმწიფეს შეუთვლია: შენ აქ როგორ მოგიშვებ, ლოცვას, კურთხევას და მადლს როგორ წაგაღებინებო „აი რისთვის ომობენ ხელმწიფენიო—დასძენს სოფელი. მთაში იმასაც უმატებენ, რომ ლაშქრის ხმალი ქარქაშიდამ თავის ძალით ამოსულა, რომ ლომისის წმ. გიორგის ჯურღმულში ჩაშვებული ჯაჭვი ახმაურებულა, ეს კი აუცილებლივ იმის ნიშანია სოფლის რწმენით, რომ თუმცა დიდი მსხვერპლი შეეწირება, მაგრამ ქვეყანა ხსნას იპოვის. უმატებენ კიდევ ხატის ხმას—ყაულის აღსრულების და ხალხთა დიდი წასვლის, დიდი განწმენდის შესახებ. ყველაფერი ეს და სხვა მრავალი ჰქმნის ხალხში ღრმა რწმენას, რომ ამ უმაგალითო სისხლის წვიმით ქვეყანა უნდა გაირეცხოსო, ხალხს შვება უნდა მიეცეს.

ასე განვლილმა წელმა დიდ უბედურებაში, ტანჯვაში და მწუხარებაში აამოძრავა ჩვენი სოფელი, აამუშავა მისი ფიზიკური და სულიერი ძალა. რამდენათ რეალი და აშკარა ხასიათისა არის პირველი, იმდენათ გაუნათლებლობის ბურუსით არის მოსილი მეორე. ორივეს კი ერთი და იგივე სარჩული უდევს, ერთი და იგივე აზრი აწარმოებს.

აზრი და რწმენა მსხვერპლის ანაზღაურებისა, ქვეყნის შველისა, თავის მოვლისა. დღევანდელ ბედკრულობის უკეთეს ცხოვრებით შეცვლისა.

ღმერთო, კეთილი ახალი წელი გაუთენე ჩვენს სოფელს, იარა დაუცხრე, ტანჯვა შეუმსუბუქე, ბრძოლაში გააძლიერე, წადილი აღუსრულე.

**შ. იგერი.**

## 1915 წელი სამეგრელოში

მეგრელთა ეკონომიურ დაწინაურებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა გასულმა წელმა. მოქმედი და მკვირცხლი მეგრელი მთელ საქართველოში საუკეთესო მოვაჭრე ელემენტად უნდა ჩაითვალოს. ბუნებით მოძრავი, იგი დაუზარებლად სტოვებს საყვარელ კარმიდამოს და მიდის იქ სადაც მის ენერგიას და მოქმედებას შეუძლია თამამად გაშალოს ფრთები, დაიწყოს რაიმე ცოცხალი მომგებიანი საქმე, შეიძინოს სიმდიდრე და შემდეგ თავის თავსაც უშველოს და თვისიანებსაც. მეგრელობა მრავლად მოედო შავს ზღვის ნაპირებს, ხოლო ამ ბოლო ხანებში აღმოსავლეთ საქართველოსაკენ ბლომად დაიძრა. იგი არ ერიდება გაშორდეს თვის სამშობლოს, გარდიხვეწოს ცხრა მთას იქით, ოღონდ ფული იშოვოს და დადოვლათიანებული უკანვე სამშობლოში დაბრუნდეს. ყოველგან. სადაც მეგრელი ჩამდგარა და სიყვარულით საქმისთვის ხელი მოუკიდნია, ხეირი უნახავს და ბედს შეჰყრია. ქვეყნისთვის გულშემატკივარი მთავრობა, რომელიც ბუნებრივად და ორგანიულად მოვალე იქნება საქართველოს ნივთიერ და გონებრივ ასაღორძინებლად, მეგრელების სახით აღებ-მიცემობის საუცხოო აგენტებს შეიძენს და განსაკუთრებულ ღონისძიებას უნდა ღონობდეს მეგრელთა შორის სავაჭრო და საალებ-მიცემო განათლების გავრცელებას. როგორც მოძრავი და შეძენის მოტრფიალე ბუნება, მეგრელობა საუკეთესო საკოლონიზაციო ელემენს წარმოადგენს მთელ საქართველოში, აგერ თითქმის ოცი წელიწადია რაც მეგრელობა ინსტინქტიურად აწარმოებს იმ პოლიტიკას, რომელიც სხვა დროსა და პირობებში დაინტერესებულ მთავრობას უნდა ეწარმოებინა. მეგრელობა პერიფერიებისაკენ მიიწევს და მიუხედავად იმისა რომ მტრულად განწყობილი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს მეგრელთა საკოლონიზაციო მოძრაობა შეაჩეროს ათასი სხვა და სხვა დაბრკოლების წყალობით, იგი მაინც ნელნელა და სისტემატიურად ეწევა მთელი საქართველოს მომავალი პოლიტიკის განაღდებას დღევანდელი ყოვლად შეუწყნარებელ პირობები მიმდინარე ომის წყალობით, რომლის შედეგებმა თავი იჩინეს განსაკუთრებით წელს, შესწყდა მეგრელთა საალებ-მიცემო და საკოლონიზაციო მოქმედება. საუკეთესო ვაჟკაცნი ბრძოლის ველზე გაიყვანეს, ცოცხალი და ფხიანი ელემენტი ქვეყანას ჩამოაცალეს.

* * *

როგორც საქართველოს სხვა კუთხე, სამეგრელოც შავებშია გახვეული და გლოვობს საუკეთესო შვილთ, რომელნიც ცხრა-მთას გადაღმა, უცხოთა შორის და უცხო ქვეყანაში დაიღუპნენ, მოკლებულნი სამშობლოს ხილვას. მათი მშობელი მიწა ვერ იქმნა ბედნიერი თვისნი შვილნი თვითვე შეეწირნა და მათი ნეშთის სიმძიმე თვითვე ეზიდნა! ბევრია ოჯახი, რომლის ერთად ერთი მარჩენალი ომში გაუწვევიათ, და რომელიც უკიდურეს ტანჯვას განიცდის შიმშილ-წყურვილისაგან. სოფლებიდან ვაჟკაცების გაყვანამ პირდაპირი გავლენა იქონია ნახნავ-ნათესის რაოდენობაზე. წინა წლებთან შედარებით, დახნული-დანათესი ერთი ორად ნაკლები იყო 1915 წელს. ამას ზედ დაერთო არ გაგონილი წვიმები და წყალდიდობა, რომელმაც კალმით აუწერელი ჯოჯოხეთი დაატრიალა სამეგრელოს თავზე და მრავალი მილიონის ზარალი მიაყენა. არ იყო ისეთი უბრალო ღელე, თუ ყოვლად უბადრუკი მდინარე რომ საერთოდ არ გაზვიადებულიყო, ნაპირები არ გადმოეხეთქა და არ წაელეკა რაც კი გზაზე დაუხვდებოდა, წყალდიდობამ და გამუდმებულმა სინესტემ ყანები სულ ერთიანად გააფუჭა. დახნულ დათესილ ყანადან ბევრს სათესლე სიმინდიც ვერ აუნაზღაურებია.

ყველა ამ მიზეზის გამო ქვეყანას საშინელი შიმშილი ეწვია. ბევრი იყო მაგალითი რომ მარტოხელა დარჩენილ დედას თავი წყალში დაურჩვია, რომ ბავშვებისთვის ლუკმა-პური ვერ უშოვნია. უმამაკაცო ოჯახები, რომელთა მარჩენალნი ბრძოლის ველზე იბრძვიან, უკიდურეს შემთხვევაში კარ და კარ მათხოვრობასაც არ თაკილობდენ და როდესაც ამ გზითაც თავს ვერ შეელოდენ, ოჯახის დედები სიცოცხლეს ესალმებოდენ. ამ მხრივ სამეგრელოს მდგომარეობა განსაკუთრებულია. მაშინ როდესაც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომნი ჩვენში შემოხიზნულნი, მთავრობისა და კერძო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ერობათა და ქალაქთა კავშირის გულმხურვალე საგნად არის გადაქცეული და მათზე მილიონები ათობით იხარჯება,

* * *

ნაკლები იყო წელს ხილის მოსავალიც, რაც მოვიდა ისიც უგემური და უფერული გამოდგა. სამეგრელოს ერთ მხარეში დაფნა დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. წელს იგი კარგათაც ფასობდა. მაგრა უგზოობამ და ხშირმა წვიმებმა ერთობ შეაფერხეს დაფნის გამოზიდვის საქმე. მეაბრეშუმეობა მთელს სამეგრელოშია გავრცელებული, იგი შეიძლება ჩაითვალოს სამეგრელოს საყოველთაო ეკონომიურ წყაროდ წელს მისი მოსავალი მეტის მეტი მცირე და მდარე იყო. საზოგადოებრივ ორგანიზაციების უქონლობისა და საზოგადო უკანტროლობის გამო, ჩარჩებმა იმ ფასებთან შედარებით, რომელიც წელს იყო სხვა ადგილებში, თითქმის ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში, ასე რომ ქვეყანამ იმ ცოტა აბრეშუმის პარკითაც ვერ ისარგებლა, რომელიც წელს მოუვიდა. ამ საერთო ეკონომიურ კრიზისთან, და მოუსავლობასთან, ერთი ორად იმატა პირველ საჭიროების საგნების ფასმა, ასანთი, ნავთი, შაქარი და სხვა ამგვარი, მამა-სისხლად ფასობს და მთელი ქვეყანა აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

ამ ზაფხულზე მოწეული ჭირნახული ხალხს უკვე შამოელია და შიმშილმა ერთბაშად იჩინა თავი.

შეკავშირებაში. დიდი ხალისით და სიმპატიით ეკიდება კოოპერატივებს და თუ ვინმემ სადმე ითავა ამ კეთილი საქმის მოწყობა, დღეს ყველა ხალისით და სიამოვნებით ეწერება წევრად. დიდია წყურვილი ამ ომის ამბებისადმი. ყველა გაფაციცებით ჰკითხულობს რომელ სახელმწიფოს რა შეემთხვა და ყველა თავის საკუთარ მოსაზრებას გამოსთქვამს, რომელიც უკეთეს შემთხვევაში არ არის არც ორიგინალობას მოკლებული და გონებამახვილობას. გაზეთების კითხვას ხალხი ძალიან ეტანება, ხაერთოდ მთელი სამეგრელო დღეს მდიდარ და იშვიათ მასალას წარმოადგენს ყოველ კეთილი საქმის დასაწყებად. ნიადაგი მზად არის. საჭირონი არიან მცოდნე, მხნე, თავდადებული და კეთილშობილი პირები, რომლებიც ისარგებლებდე ამ საერთო პსიხოლოგიით და მოაწყობდეს სხვა და სხვა ეკონომიურ ორგანიზაციებს, კოოპერატივების ტიპისას.

ასეთ მეტად არა სახარბიელო პირობებში მყოფი სამეგრელო შორდება ძველ წელს და თვის მძიმე ტვირთით ახალ 1916 წელში გადადის. მაგრამ საუკეთესო მომავლის იმედი, რომელიც მის გულში მტკიცედ არის გადგმული, ენერგიას და სიმხნევეს ჰმატებს და თანაც რწმენას უმტკიცებს, საქართველოს სხვა კუთხებთან. ერთად ისიც თავს დააღწევს წარსულ წელთა მიერ და გუშინ-და გარდაცვლილის 1915 წლის მიერაც შექმნილ ხიფათსა და განსაცდელს, მაგრამ არც ეს აკმარა სამეგრელოს დღევანდელმა აფორიაქებულმა ცხოვრებამ. სოფლად შესუსტდა საზოგადოებრივი დისციპლინა და სოციალზნეობრივი ნორმები. სოფლის რჩეულნი და გავლენიანი პირები აღარ არიან, ბევრი ოჯახი პირდაპირ ობრად არის დარჩენილი, უმამაკაცო ოჯახები სრულს უმწეობაში ჩაცვივდნენ და აი დისციპლინის გაშვებით, და წესის შესუსტებით სარგებლობენ ქვეყნის უხეირო შვილები, რომლებიც ყველგან მოიპოვებიან. ძარცვა-გლეჯა, დღისით მზისით დილიჟნების გაჩერება, მგზავრების გაფცქვნა, ყოვლად უმზგავსო ქურდობა და ტაცობა დაბებში თუ სოფლებში—საშინელ რისხვად დაატყდა მთელს სამეგრელოს. ასეთი ბოროტებანი დღე მუდამ ხდება ზედ პოლიციისა და ადმინისტრაციის ცხვირ წინ, მაგრამ **გაუგებარ მიზეზების გამო** პოლიცია არავითარ ზომებს არ ღებულობს. პატიოსანი და მშრომელი გამრჯელი სამეგრელო ჰხედავს რომ მისი მშველელი არავინაა, და თვით ცდილობს თავის თავს მოუაროს. თავის შველა შეერთებაში დაინახა. ხედავს რომ საამხანაგო დუქნები სხვებთან შედარებით იაფად ჰყიდის საქონელს, ჰხედავს რომ ამ გაჭირვების დროს ხელის მოსანაცვლებლად, წვრილი კრედიტის ამხანაგობანი სოფლის საუკეთესო მეგობარია, სამეგრელოს სოფელმა შეიგნო რომ ძალა შეერთებაშია და ერთ ბედის ქვეშ მყოფთა და ეღირსება თავისუფალ ამოსუნთქვას. ვულოცავ საყვარელ სამეგრელოს დამდგარ ახალ წელს და ვუსურვებ იმედების განხორციელებას.

**მეგრელი.**

## ქიზიყი 1915 წ.

1915 წელიწადი ქიზიყელებისთვის ფრიად უგემური და ჰკუის მასწავლებელი წელიწადი იყო. კარზე რაც უნდა დიდი გაჭირვება ედგათ, ყურებს გვიან გამოიფხეკავენ. ვინ არ ატყუებს, ვინ არა სცარცვავს, მაგრამ ძველებურად ჩაიქნევენ ხელს და ყურს მოიყრუებენ.

საერთო გაჭირვება ხომ არც ქიზიყს ასცდა. არ იყო მოსავალი ღვინისა, არც პურისა—დღეს ქიზიყში ნამდვილი შიმშილობაა და რა მოელით ორი თვის შემდეგ, თვითონაც არ იციან.

მოსავალს არც ეხლა უჩანს პირი. მინდვრის თაგვმა შემოდგომის დანათესი არ აზოგინა. და განა თუ დაფაცურდებიან და დროზე თავს უშველიან?

მთელი ქიზიყი სულ ოციოდე სოფლიდან შესდგება. ორიოდე სოფლის გამონაკლის გარდა ვერ ნახავთ ვერც ერთს სოფელში პატიოსანს და მოამაგე მამასახლისს. ძველებურად სოფელი ჩაგდებული აქვთ ხელში, რამდენიმე გაიძვერა მჭამელს და როგორც უნდათ ისე ატრიალებენ. მამასახლისი თავისი დამქაშებით თავს ხან აღმა უზამს და ხან დაღმა.

ვსთქვათ ვინმე გულშემატკივარი გამოჩნდა და გამოამჟღავნა ყოველივე სისაძაგლე როგორც მამასახლისისა, აგრედვე მისი დამქაშებისა, ხალხი ერთხანად მიემხრობა და სმასაც აიმაღლებს, კიდეც გამოსცვლიან, მაგრამ როცა ახალ მამასახლისის არჩევანზე მიდგება ჯერი, ხალხი ისევ ძველს აირჩევს და კეთილის მრჩეველს დევნას დაუწყებს.

ასე ხდებოდა და ნუ თუ მომავალშიაც კვლავ ასე განმეორდება?

მთელს ქიზიყში მზისით, დღისით ყაჩაღობა მოჰხდა. ვითომდა გზა შეაკეთეს სიღნაღიდან დედოფლის წყარომდე დაახლოვებით 25 ვერსამდე. კომლზე ორი და ათი შაური გააწერეს და ჯამი შესდგა დაახლოვებით 28 ათასამდე. გზა არც კი შეაკეთეს, გააფერანეს და ავდრიან დღეში სიარული აღარ შეიძლება. ქიზიყელები დადუმებულან და ბოროტ მომქმედს სამსჯავროს წინაშე არ წარადგენენ.

რამდენიმე სოფელში იარმუკები გაიხსნა. მიუხედავად იმისა რომ ამ იარმუკებმა (ბაზრებმა) ქიზიყს დიდი სარგებლობა მოუტანა—მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ... მეთვალყურენი ... არ აქცევენ და იქ, სადაც ჩარჩები და გაიძვერა მატყუარები უნდა ამოეფხვრათ, მაინც დათარეშობენ. ქიზიყელები ამასაც გულგრილად უცქერიან.

ქიზიყში სულ რომ ცოტა ვსთქვათ ორ მილიონ ნახევრის თამბაქო მოჰყავთ. დღეს რა გასავალშია თამბაქო, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ვის ხელში გადადის ჩალის ფასად ეს საქონელი?

ქიზიყელებმა ეს თვითონაც კარგად იციან, მაგრამ მაინც დადუმებულან და არავითარ საშუალებას არ ხმარობენ, რომ თვისი ოფლით მონაგარი თვითვე ხმარდებოდეთ.

დიდად საგულისხმო და წამაქეზებელი მოვლენა ქიზიყელებისთვის—სოფლებში საკრედიტო ამხანაგობების დაარსებაა. ამ საქმეში მძიმე ნაბიჯით მიდიან, მაგრამ რასაც აკეთებენ მკვიდრი და მტკიცეა. ზოგიერთი სოფელი პირდაპირ განსაცვიფრებელ საქმეებს ახდენს.

ვუსურვებთ ქიზიყელებს გამარჯვებას და მომავალში ყოველგვარ შეცდომის თავიდან აცილებას!

**მახარე.**

## 1915 წელი საინგილოში

წარსული 1915 წელი მეტად პირქუში და ბედშავი იყო საინგილოსათვის. ასეთი ყოველმხრივ მაზარალებელი და მავნე წელიწადი, მე მგონი, იშვიათი უნდა იყვეს საინგილოს მატიანეში. წვიმიანმა ზაფხულმა და გაზაფხულმა, რომლის განმავლობაშიაც ბუნება ხშირად ისეთის არაჩვეულებრივის მრისხანებით მოევლინებოდა ხოლმე აქაურობას, რომ აწიოკებული მცხოვრებნი სასოწარკვეთილებაში ცვივოდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ და რა წყალში გადაცვივნილიყვნენ, სულ ერთნაირად გააჩანაგა ნათესობა. ხშირმა ნიაღვრებმა და თქეშმა კალაპოტიდგან გამოიყვანა უიმისოდაც გიჟმაჟი მთის მდინარენი და მთლად-ერთიანად წაალეკინა ყოველივე, რაც კი მათს მახლობლად მოიძებნებოდა ბაღები, ვენახები, ჩალთიკები, ჭირნახული და სხვა. ბევრს აუტირდა პატრონი, ბევრი ცარიელზედ დარჩა და მთელი წლის სარჩო-საბადებელი წყლისა და ამინდის მრისხანებამ ჩანთქა. მაგრამ განა ეს იკმარა ბუნებამ? არა, მას არ დაკმაყოფილდა და ის ნათესი და გლეხკაცის ნაჭირნახულევი, რომელიც ნიაღვრის მრისხანებას გადარჩა მაინც უხეირო და გამოუსავლიანი გამოდგა. ზოგმა თავისი თესლიც კი ვერ დაიბრუნა, ზოგს კიდევ ისეთი პური მოუვიდა, რომ თონე იმას ვერ იჭერდა და ძირს ნაღვერდალში მიდიოდა კუტებად. გარდა ამისა ისეთი მწარე პური გამოვიდა, რომ კაცს არ ეჭმეოდა. ნაკლებმა მოსავალმა ადრევე იჩინა თავი. შემოდგომაზე პურის სიძვირე და უშოვნელობა გამეფდა ყველგან, რომელიც ჩქარა ნამდვილ სიმშილად გადიქცევა, თუ საიდგანმე არ ეშველა, რასაკვირველია.

საკვირველი იყო წრეულს ერთი რამ გარემოება. როცა საინგილოში მოუსავლობა არის ხოლმე ბარათ. მაშინ მთაში მაინც არის ხოლმე ჭირნახული, მაგრამ წრეულს განგებ მთაშიც არაფერი იყო. აქ ნაადრევ გაზაფხულზედვე იჩინა თავი მინდვრის თაგვმა და გამოვიდა თუ არა თავთავი, მაშინვე მოსპო და შესჭამა, ჯერ კიდევ არ მოწეული თავთავი. საცოდავი სანახავი იყო ასეთი ნათესები, ცარიელა ღეროები პურისა თამამად იდგნენ, თავთავები კი აღარსად იყვნენ.

ასეთივე მოუსავლიანობა იყო ღვინისაც. მოხუცები ამბობენ, ღვინის ასეთი მოუსავლიანობა არასდროს არ გვინახავსო. მთავარი მიზეზი ამისი, რასაკვირველია, საწამლი მასალის უქონლობა იყო. გოგირდი და შაბიამანი, ჯერ ეს ერთი, სრულიად არ იშოვებოდა და თუ იშოვიდა კაცი, ისეთს ძვირს ფასებში, რომ მის ყიდვას იშვიათად თუ შესძლებდა ვინმე. ფუთი შაბიამანი შვიდ თუმანში გავიდა და განა გაძვალტყავებული გლეხკაცი შესძლებდა ამ ფასში შაბიამნის ყიდვას. ამის გამო ვენახები უმრავლეს შემთხვევაში გადახმა და მთელს საინგილოში სამ-ოთხს კაცს არ მოუვიდა საკმარისი ღვინო.

მოუსავლიანობა იყო ბრინჯისაც. მოგეხსენებათ, რომ ბრინჯი ბევრს წყალსა საჭიროებს, მაგრამ საუბედუროდ წლევანდელს წვიმიანს ამინდებს იმის მაგიერ რომ ხელი შეეწყო ბრინჯის მოსავლისათვის, ერთგვარი ავადმყოფობა, ესრედ წოდებული გოზანგი გაუჩნდათ, რომელმაც მთლად გააყვითლა და გახმო ბრინჯის მოსავალი. ასე რომ, ის ბრინჯი, რომელიც დიდ ძალი მოდიოდა ხოლმე საინგილოში,

29 ქრისტეშობისთვეს საღამოთი გარდაიცვალა ერთგული მცხოვანი მსახური და ყარაული დიდუბის ეკლესიისა

# ილია გიორგის ძე
# ეპიტაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას **ეკლესიის კრებული და მნათე.** პანაშვიდები ყოველდღე, დილით 12 ს. საღამოთი 5 ს. გასვენება და წირვა დიდუბის ეკლესიაში 2 იანვარს, დილით 10 ს. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ.



## „ახალი კლუბი“

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს კლუბის წევრებს და მუდმივ მოსიარულეთ, რომ შაბათს 2 იანვარს 1916 წ. გაიმართება

## საღამო-მეჯლისი

**ქართულ თეატრის 66 წლის თავზე** წარმოდგენილი იქნება:

I

## სამზადისი

სცენები უმიკაშვილისა. ქართულ თეატრის დაფუძნების დროიდან.

II

## ფული და ხარისხი

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი **კონ. ანდრონიკაშვილი.**



წელს სრულიად მცირე მოვიდა და მისმა ფასმა ერთი-ორად აიწია. თუ წინად ბრინჯი მანეთნახევრამდის ღირდა ფუთი, წელს მისმა ფასმა 5 მან. 80 კაპ. ზევით აიწია.

ასეთივე მოუსავლობა იყო ხილისაც. არც ვაშლი და არც მსხალი არ მოსულა წარსულს წელს საინგილოში. მოვიდა მხოლოდ კაკალი, თხილი და წაბლი, რომელიც ისეთს ფასებში გაიყიდა, რომლის მსგავსიც საინგილოში არასდროს არ უნახავს ვისმეს.

ასეთი ყოველმხრივ მოუსავლიანი იყო წარსული წელი საინგილოში.

ამ მოუსავლიანობაში, ამ ხალხის კვნესა-გმინვაში, როდესაც ყოველმხრივ შევიწროებული და სულშეხუთული გლეხკაცი სულს ძლივს ითქვამს, საძირკველი ჩაეყარა ერთს სიმპატიურსა და მეტად საჭირო საქმეს—ეს გახლავთ სოფელ კახში—ამ ინგილო-ქრისტიანთა ცენტრში კოოპერატიულის მაღაზიის გახსნა. ძნელი იყო მეტად, ისეთს შეუგნებელსა და განუვითარებელს ხალხში, როგორც ინგილონი არიან ამგვარი საზოგადო საქმის დაარსება, მაგრამ წარსულს წლის აგვისტოში ყოველიეე დაბრკოლება იძლია და კოოპერატიული დუქანი გაიხსნა. პირველად სრულიად მცირე რიცხვს წევრებს, თან და თან თანამგრძნობნი ემატებიან, ის ურწმუნო თომანი, რომელნიც ჩარჩ-ვაჭრების ჩაგონებით, ალმაცერად უცქეროდნენ კოოპერატივს დღეს წევრებად ეწერებიან. საჭიროა, რომ მოთავეებმა უფრო მეტი ენერგია, მეტი მხნეობა გამოიჩინონ და ნამდვილი მზრუნველობა გაუწიონ ხალხს.

კოოპერატივს გამოწერილი აქვს დიდძალი პური მცხოვრებთათვის, შაბიამანი 500 ფუთამდე, აბრეშუმის ჭიის თესლი და თან და თან ეცდება ხელში ჩაიგდოს ადგილობრივი ნაწარმოებნი, აბრეშუმის პარკი, ბრინჯი თხილი, კაკალი და მათ საჭირო კარგი ბაზარი მოუპოვოს. თუ რასაკვირველია ყველა ეს შესძლო და შეასრულა კოოპერატივმა, მაშინ მიზანი მიხწეული იქნება. წარსულს წელს ყველა ეს მხოლოდ დაწყებული ჰქონდა კოოპერატივს, ვნახოთ ახალი წელი რას მოგვიტანს. მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ წარსულმა წელიწადმა ამ მხრივ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ და მთელს საინგილოში პირველი კოოპერატივი დაარსდა სოფელში, იმავ დროს როდესაც თვით დედა ქალაქ ზაქათალაშიც კი არაფერი ამგვარი დღემდის არ მოხერხდა. ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ვსთქვათ, რომ ვაჭრობა კოოპერატივის მაღაზიაში საუცხოვოდ მიდის და დღეს დღეობით ყველა ადგილობრივ ვაჭრებს გაუსწრო, რომელნიც მასში დიდს თავისს მტერსა ჰხედავენ და სცდილობენ მასთან შებრძოლებას.

მეორე კეთილი და სანუგეშო საქმე, არის პედაგოგიური კურსების დაარსება ქალთა პროგიმნაზიასთან. ამ კურსების დაარსება მეტად საჭირო იყო და დიდი ხანია არსებობდა მისი მოთხოვნილობა. მოგეხსენებათ საინგილო მეტად მიყრუებულია და ძნელი საცხოვრებელი უცხო კუთხიდგან მოსულისათვის, ამიტომ მასწავლებლებად მოსულნი აქაურს სკოლებში უცხო კუთხიდგან იშვიათად მოდიოდნენ და თუ მოვიდოდა ვინმე, ისიც მოკლე ხნით და ცდილობდა რაც შეიძლებოდა ჩქარა გასცლოდა აქაურობას. ამის გამო ზოგიერთი სკოლები დიდისხნობით უმასწავლებლოთ იყვნენ ხოლმე და სწავლის საქმეც არ იყო სასურველს ნიადაგზედ დაყენებული. ამ პედაგოგიურის კურსების **დაარსებით სადაც შევლენ პროგიმნაზიაში კურს დამთავრებულნი. გაჩნდება** მთელი კადრი ადგილობრივ მასწავლებლებისა, რომელნიც რასაკვირელია ისე აღარ იუკადრისებენ და აღარ გაექცევიან აქაურობას როგორც შორით მოსულნი ჩადიოდნენ. ამიტომ სრულის თანაგრძნობით უნდა მოვეკიდოთ ამ კურსების დაარსებას.

ამითი ვათავებთ წარსულის წლის საინგილოს მოკლე მატიანეს.

**ზ. ედილი.**

# ახალი წელი

სოფელი ახალი წლის პირველ დღეს ეგებებოდა...

განთიადის მახარობლებმა უკვე დაჰყივლეს. ახალგაზდები მარდად ფეხზე წამოდგნენ, თოფები გამონახეს, და თვალ უწვდენელ სივრცეში სროლა ასტეხეს. ძველი წელიწადი გაისტუმრეს—ახალს ნეტარებითა და მხიარულებით ვგებებოდნენ...

სახლები ჩირაღდნით იყო განათებული.

ყველა რაღაცას ფიქრობდა. ყველა რაღაცას აკეთებდა.

მშვენიერია ახალი წელი სოფლად, მეტადრე როდესაც მეფეხურეები ოქრო ვერცხლითა და სხვა და სხვა ტკბილეულით სავსე გობს თავზე შეიდგმენ და სახლს რამდენჯერმე ირგვლივ შემოუვლიან. მაგრამ უფრო მშვენიერია ის სურათი, როცა ამ გობზე დალაგებულ სანოვაგეს სუფრაზე დააწყობენ, მას სახლის ყველა წევრები მოუსხდებიან, წითელი ღვინით სავსე თასს ხელში აიღებენ და „მრავალჟამიერ“-ს და „ჰარალი“-ს დასძახებენ...

ასე ხდებოდა ამ დღესაც.

ყველა ნეტარებდა, ყველა მხიარულობდა. ყველა მღეროდა და თამაშობდა.

სდუმდა მხოლოდ მარიამის ოჯახი. მარიამი წინა დღით ქალაქიდან თავის ვაჟს—ავთანდილს მოელოდა, მაგრამ ჯერ არსად სჩანდა.

ავთანდილი 20-22 წლის, ახოვანი ტანის, გამოცდილი და ჭკვა დამჯდარი ახალგაზდა იყო. იგი ქალაქში ყველასთვის ცნობილი შეიქნა, როგორც საღი მოაზროვნე და სამშობლოს მედგარი დამცველი.

მარიამმა ავთანდილის მოსვლის შესახებ ყოველივე იმედი დაჰკარგა და ლოგინში ჩაწვა.

მზე აღმოსავლეთით მთის მწვერვალიდან უკვე გადმომდგარიყო და თეთრი მოსასხამით დაფარულ მიდამოებს აცისკროვნებდა, როცა ეზოში გაჩნდა ავთანდილი, იგი პირდაპირ სახლისაკენ მიეშურებოდა. ავთანდილი კარებს მიადგა და კაკუნი დაუწყო.

მარიამი წამოდგა. მას მეფეხური—მეზობლის ბიჭი ეგონა და მიაძახა.

— რა მოგაქვს?...

— მშვიდობა დედი, მშვიდობა. იმედი ჩვენის ბედნიერებისა და სამშობლოს განახლებისა.·.

— ოხ, შვილო ავთანდილ!—წამოიძახა მარიამმა, კარები გააღო და თვალ-ცრემლიანმა ავთანდილი გულში ჩაიკრა.

— კარგი დედი. ამდენი ცრემლები კმარა. დღეს ჩვენ მხიარულება გვმართებს!

მარიამმა საჩქაროდ სუფრა გაშალა და თუ რამე მოეძებნებოდა, ყველაფერი მოარბენია. თვითონ ავთანდილს გვერდში მოუჯდა და შესცქეროდა.

როცა ავთანდილმა საუზმე დაათავა, მარიამმა სუფრა აალაგა,—ავთანდილს მიუახლოვდა და ალერსით ჰკითხა.

— შვილო, ამიხსენი რას ნიშნავდა ის სიტყვები, შენ რომ კარებიდან ტკბილად შემომძახე?..

— ოო! გეტყვი დედი, გეტყვი. ყური დამიგდე და სიხარულით აგიხსნი. გაგიგონია დედი ამირანი, გმირთაგმირი სადღაც კავკასიონის მთის ნაპრალში მიჯაჭვული? იგი იტანჯებოდა, თავის ხალხის უბედურებას თვალყურს ადევნებდა და სული ეხუთებოდა. ეხლა კი დედს გმირთა გმირს სულის შემხუთავი ბორკილები გაუგლეჯია. მის ირგვლივ იკრიბება საუკეთესო ძალები! ჩვენი მთა-გორაკების შვილნი! იგი შესძლებს რომ ბნელით მოცული ცხოვრება კვლავ ხვთაებრივი ცეცხლით გააშუქოს. იცოდე დედი, თავზარს დასცემს იმას ვინც ხალხს სტანჯავდა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში...

აი ეს მინდოდა მეთქვა მე შენთვის.

წირვის გამოსვლამდის ეს ამბავი მთელ სოფელს მოედო. სიხარულით ყველა ცას სწვდებოდა და მოუთმენლად მოელოდენ პირველ დღეს ახალი წლისას, როცა გმირთა გმირი ამირანი გამოჩნდებოდა.

**ნიკ. ასათიანი.**

# დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**მოსკოვი. საბიუჯეტო კომისიის მუშაობის გათავების შემდეგ, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ, სათათბიროს უხუცესთა საბჭოს დადგენილების თანახმად, შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ იყო, სახელ. სათათბიროს დაუყოვნებლივ მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობამ გასჭრა. სათათბიროს მოიწვევენ 22 იანვარს. სესიის მუშაობა ნორმალურის გზით წავა.**

**გ. ვეშაპელი.**

**დღევანდელ გაზეთში 6 გვერდია.**

# ახალი ამბავი

✦ **სამხედრო ტაძარში** დღეს ღამის 11 საათზე საახალწლო მწუხრია დანიშნული. მლოცველია გორის ეპისკოპოსი ანტონი.

✦ **იორდანე.** ქალაქის გამგეობამ ინჟ. აბესალომოვს მიანდო მართლმადიდებელთა იორდანეს მოწყობა მტკვრის მარჯვენა მხარეს ვერის ხიდთან.

✦ **ისაკო ალხანაშვილმა** მეუღლითურთ მაღაროს ბიბლიოთეკას გაუწერა გაზეთი „საქართველო“.

✦ **ნიკო ჭრელაშვილმა** ორი ცალი გაზ. „საქართველო“ აჭარლებს გაუწერა.

✦ **ივანე ზედგინიძემ** აგარაკის სასარგებლოდ ჩვენს რედაქციას გადმოსცა 5 მანეთი.

✦ **ხან-ნახიჩევნელს** თვის მემამულეებმა საჩუქრად ჩამოუყვანეს სამი საუცხოვო სანახაობის არაბული ცხენი.

# ომის გარშემო

აგერ უკვე წელიწად ნახევარი სრულდება, რაც რომ მსოფლიო ომის ცეცხლშია გახვეული. ევროპა, აზია და აფრიკა შეიქნენ ასპარეზებათ დღემდე უმაგალითო სისხლის ღვრისა.

ომის გამომწვევი მიზეზები, ყველასათვის სახსოვარი უმნიშვნელო შემთხვევა იყო, მაგრამ ნიადაგი ამ ომის მოსავლინებლად კი ღრმა დიდი ხნის უთანხმოება და ინტერესების და მიზნების სხვა და სხვაობა იყო დიდ ევროპის სახელმწიფოთა შორის.

ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის სიკვდილი ფლიაზე დაყრილი წამლის აფეთქება იყო. რომ მზათ მოწყობილ ზარბაზანს დაევრიალებოს.

ჯერ ამ ხუთი წლის წინათ იტალეთოსმალეთის შეჯახების და ბოლოს ბალკანეთის წვრილი სახელმწიფოების კავშირის უკან იდგა აჩრდილი მსოფლიო სისხლის ღვრისა, ჯერ მანამდის 1870 წელს მომხდარ გერმანეთ-საფრანგეთის შორის ომიდან ელზას-ლორენის საფრანგეთიდან ჩამოშორები დან იფერებოდა და იჭედებოდა ახალი თოფ ზარბაზანი. მაგრამ ბალკანეთის ომამდე არ იყო გარკვეული, თუ ვისი ზარბაზანი ვის წინააღმდეგ მიიმართებოდა.

ბალკანეთის ცეცხლის ალმა გამოარკვია თითოულ დიდ სახელმწიფოთა გულის ნადები და ურთიერთ შორის შეურიგებელ ინტერესთა დაპირდაპირება. 15 ივნისს გამსკდარმა მერვე კლასის გიმნაზიის მოწაფის სერბიელს პრინციპისამ მისცა მიზეზი აბჯარ ასხმულ სახელმწიფოებს სიგნალი აწ დაუშრეტელი მსოფლიოს ცეცხლით და მახვილის მოსადებათ და აურაცხელი სისხლის დასაღვრელათ.

გამწარებულმა მოხუცმა ფრანც იოსებმა თავისი მემკვიდრის და მისი ცოლის სიკვდილის ერთი თვის თავზე 1914 წელს 15 ივლისს გამოუცხადა ომი სერბეთს. 18 ივლისს ამავე წლისას თავისი პატარა მოძმეთ, (რომელიც უფროსი მოძმის რჩევისა და იმედით მოქმედებდა), საშველათ და მოსარჩლეთ გამოვიდა რუსეთი. რუსეთმა უკუაგდო ამ დღეს გერმანეთის ულტიმატუმი. რუსეთის მობილიზაციას 19 ივლისს მოჰყვა გერმანეთის ომის გამოცხადება, ამას მოჰყვა ბელგიის და საფრანგეთ-ინგლისის გამოსვლა და 23 ივლისს გამაგრებულ ციხე ქალაქს ლიეჟს მიადგა გერმანეთის ჯარი. 8 აგვისტოს გერმანელებმა ბრიუსელი აიღეს, 27 ენკენისთვეს ბელგეთის უმაგრესი და უძლიერესი ციხე დასცეს და ბელგიის მთავრობა იძულებული გახდა ბელგეთიდან გახიზნულიყო; ოქტომბრის პირველ რიცხვებში გერმანელებმა ნიუპორტიდან დიქსმიუდესაკენ იერიში მიიტანეს და შუა ოქტომბრის რიცხვებში კალესაკენ გაიჭრენ იზერის კანალამდე. დღემდე გერმანელები ამ ადგილ მიდამოებშივე იმყოფებიან და მას აქეთ ინგლის-საფრანგეთ-ბელგელებმა გერმანეთს ვერავითარი თვალსაჩინო ზიანი ვერ მიაყენეს-რა და საგულისხმიერო ადგილზე ძვრა ვერ უყვეს. გერმანელები გამაგრდენ ამ მიდამოებში და დღესაც იქვე არიან. საფრანგეთისაკენ გერმანელებმა ბელგიით, ლიუქსენბურგით, ელზას ლორენით შეუტიეს ფრანგებს. უკანასკნელ ადგილ-მიდამოებში შემოიჭრენ ფრანგები, მაგრამ გერმანელებმა დაატოვებიეს აღებული ქალაქები და ფრანგები უკუ აქციეს. აგვისტოს შუა რიცხვებში გერმანელები თვით პარიზისაკენ გაეშურენ, მაგრამ 25 აგვისტოს მარნაზე გერმანელები დამარცხდენ და პარიზის აღებას თავი დაანებეს და ზემო ნაჩვენები კალესაკენ გაჭრა ამჯობინეს.

ამ ხნის განმავლობაში ვოლინისაკენ შემოჭრილი ავსტრო-უნგრეთი დაამარცხა რუსეთმა და უკუ აქცია, თან გამოედევნა და გალიციაში შეიჭრა, 9 ენკენისთვეს რუსებმა ქალაქი იაროსლავი აიღეს და პერემიშლს ალყა შემოარტყეს, რომელიც 4 თვის შემდეგ დასცეს და შიგ შევიდნენ.

მოზვირთებულ რუსის ჯარს ველარ გაუწია წინააღმდეგობა ავსტრიის ჯარმა და კარპატებს ამოეფარა. რუსეთმა გადალახა კარპატები და ის იყო უნდა შეჭრილიყო უნგრეთში, რომ ამ დროს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მოხსნა გერმანეთმა ჯარები, შეაგროვა ავსტრო-უნგრეთის თავისუფალი და სათადარიგო ჯარები კრაკოვის მიდამოებში და ბიალა-სუსა-ვალიჩკოდან გორლიცემდინ დაიწყო შემოტევა. აქედან დაჰყვა შემოტევა ქვემოთ მარმაროში სიგეტამდე და ივანობისთვის შუა რიცხვებში (1915 წ.) ის მანძილი, რომელიც რუსეთმა დიდი სისხლის ღვრით და ურიცხვი ხარჯით და შრომით აილო, გერმანელებმა და ავსტრიელებმა დაიბრუნეს რაღაც ორ სამ თვეში. ამ გალიციის ბრძოლას ჯერ მსოფლიოში არ ჰქონია ბადალი, არც არსებულ ომის დროს და არც წინათ ორთავე მოპირდაპირეს უთვალავი ჯარები ჰყავდათ. ამბობენ და ჯერ, რასაკვირველია ვერ შევიტყობთ ნამდვილს, ერთმანეთს ექვსი მილიონი ჯარი ასკდებოდაო.

რუსების სასტიკ დამარცხებას სხვათა შორის უიარაღობით და სასროლი მასალის უქონლობითაც ჰხსნიდენ. გალიციის ომთან ერთად და მის წინათაც გერმანეთმა დაამარცხა რუსის ჯარები ორჯერ მაზურის ტბებთან და დიდი ზარალიც მიაყენა. მას შემდეგ გერმანეთი შემოიჭრა შუა ვისლაზე სანის შესართავიდან მოკიდებული ვარშავამდე, უმაგალითო ბრძოლებით აილო თითქმის მთელი პოლონეთი, ვსტლიანდია-კურლიანდიის ნაწილებიც და ამ შემოდგომის პირზე გაჩერდა ჩრდილოეთით რიგა დვინსკის ხაზზე, სვენციანის აღმოსავლეთით მინსკისაკენ, ძირს ჩარტორისკის მიდამოებით მდინარე სტრიპამდე, სადაც ავსტრო-უნგრეთის ჯარი იბრძვის და ლუცკ-ოლიკას ქვემოდ ტარნოპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩერნოვიცამდე. ეს ნაჩვენები ადგილები წარმოადგენენ დღეს რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირს. ამ ომებში თავისი მოხერხებით, სიძლიერით, რიცხვით და მნიშვნელობით ძლიერ ბევრი რამ იყო. უმეტეს მნიშვნელოვანი მაზურის ტბებთან ჰინდენბურგისაგა გენერალი სამსონოვის ორი კორპუსის განადგურება იყო, სოლდასთან, გენერალი რენენკამფის დამარცხება, იმ რენენკამფისა, რომელიც ომის გამოცხადების შემდეგ პირველ ხანებში იქადოდა, რომ თუ ექვს თვეში ბერლინში არ შევედი და ვილჰელმი არ დავატყვევე მარჯვენა ხელს მოვიჭრიო. შესანიშნავი იყო ლოძის მეორეთ აღება გენერალ მაკენზენისაგან, როცა იმისმა ჯარმა ბრრეზინთან რუსის ჯარის პირი გაარღვია, და რუსის ჯარს რკალი შემოარტყა, მაგრამ თვითვე რუსის რკალში მოემწყვდა, მან მაინც უკან გაარღვია რუსის ჯარის რკალი და გაიყვანა ჯარი სამშვიდობოს და ლოძიც აილო

ღირს შესანიშნავია იაროსლავის დაბრუნება გერმანელ-ავსტრიელთაგან, პერემიშლის და ლვოვის, გალიციის ომის დროს. აგრეთვე დიდ მნიშვნელოვანი იყო მაგარი და ძლიერი ჯარებით ცნობილი რუსის ციხეები, ივანგოროდი, ნოვო-გიორგიევსკი და თვით ვარშავისა, რომლებსაც რამდენიმე მილიონიანი ჯარები იცავნდე. ოსოვეცის და კოვნოს აღება. ნამეტნავად პირველის, რომელიც გარდა ხელოვნური სიმაგრისა ბუნებრივ სიმაგრესაც წარმოადგენდა. კოვნო პირველ ხარისხოვანი რუსის ციხე იყო.

მის მერე ლიბავის აღება და ციხე ბრესტ-ლიტოვსკის სიმაგრისა და ქალაქ ვილნოსი.

ბალკანეთშიც მეტად სერიოზული ამბები დატრიალდა. დარდანელის სიმაგრეები, მართლაც მიუვალი გამოდგა და მიუხედავად საშინელი იერიშებისა უზარმაზარი საექსპედიციო ჯარისა, საშინელი საზღვაო ფლოტისა, დარდანელს ვერა დააკლეს რა და მთელი თოთხმეტი თვის სისხლის ღვრამ, გემების და ფლოტის და ადამიანის მსხვერპლმა ინგლის-საფრანგეთს თითქმის უბაჟოთ ჩაუარათ. ოსმალეთმა როგორც ვიცით 19 ოქტომბერს დაუწყო ომი რუსეთს, 23 ოქტომბრიდან მოკიდებული ის უკვე მეომარ სახელმწიფოდ შეიქნა ინგლის-საფრანგეთის. ოქტომბრიდან მოკიდებული დღემდე სცდილობდენ ინგლისელები და ფრანგები დარდანელის გარღვევას და სტამბოლის აღებას, მაგრამ ამაოდ. დღეს უკვე უკანვე გაჰყავთ ჯარები, ისე რომ თავის საწადელს ვერ მიაღწიეს. ომის გამოცხადებისას კი ინგლის-საფრანგეთი და რუსეთი შეუთანხმდენ ერთმანეთს, რომ ოსმალეთი გაეყოთ ურთიერთ შორის.

აგრეთვე მოულოდნელი გამოდგა მესოპოტამიაში სპარსეთის ყურეში შემოსული ინგლისის ჯარის ბედიც. ეს ჯარი ოსმალეთმა შემოიტყუა მესოპოტამიაში და იქ შეებრძოლა, სძლია და დღეს ისეთს მდგომარეობაშია, რომ ვერც უკან ზღვაში დაბრუნება მოუხერხებია, ვერრც წინ წაწევა, რადგანაც უკანიდან ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ოსმალ სპარსეთის ჯარები აწვებიან.

აგეთივე უბედო გამოდგა შეთანხმების სახელმწიფოებისათვის ბალკანეთის ექსპედიციაც. მათი გამოქომაგება სერბეთის სასარგებლოდ, როგორც უკანასკნელისათვის ისე ინგლის საფრანგეთისათვის სავალალოდ დამთავრდა. სერბეთი ისე როგორც ბელგია თავიდან ბოლომდე გაიარა სამი მხრით შემოსეულმა მტერმა.

ამ ომში უპირველესი წილი დაიდო ბულგარეთმა. ის ჩაერია ომში 20 ენკენისთვეს და თავისი 400000 ჯარისკაცით გაძვალტყავებულ სერბეთს ეკვეთა. როცა შეთანხმების სახელმწიფოებმა სერბეთი გადალახეს და სერბეთის ტერრიტორია სერბეთის ჯარისა და ინგლის ფრანგების ჯარებისაგან გასწმინდეს და ნეიტრალურ საბერძნეთის ტერრიტორიაზე ჩადგნენ, შეჩერდენ და ახლა შეტევისთვის ირაზმებიან. ინგლის-ფრანგების ჯარები გადარჩენილ სერბეთის ჯარებთან ერთად დღეს საბერძნეთის ქალაქ სოლუნთან გამაგრდენ და აქ უპირობენ გამკლავებას გერმანელ-ბულგარელ ოსმალ ავსტრიელებს. თუმცა კიდევ ჯერ შეთანხმების სახელმწიფოებს საბერძნეთის ტერრიტორია არ გადაულახავთ, მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში კერძო ცნობები მოდის, ვითომც ისინი უკვე მზათ იყვნენ საფრანგეთ ინგლისის ჯართან შესაბრძოლებლად, რათა უკანასკნელნი წყალში ჩაჰყარონ.

მთაშაველებს ავსტრო-უნგრელები სდევნიან. რადგანაც მთაშაველებს დიდი ჯარები არა ჰყავთ, ისინი თავის მთაგორიან სამშობლოში პარტიზანულომს აწარმოებენ და თანდათან უკან იხევენ ცეტინიესაკენ.

ღირს შესანიშნავია აგრეთვე სპარსეთ-რუსეთის ვითარებაც როგორც ზემოთ ვსთქვით, სპარსეთით ოსმალეთში შეჭრილი ინგლისის ჯარები დღეს ძლიერ გლახა მდგომარეობაში არიან. თუ რა ბედი ეწვია ან რა ქნა რუსის არმიამ, რომელმაც თეირანი განვლო, ქამადანი დაიპყრო და აბას-აბადში მივიდა, ცნობები არ არის. ეს კი ვიცით მხოლოდ, რომ ამ ჯარს გარდა სპარსეთის რეგულიარული ჯარებისა და გერმანეთისაგან დაქირავებული სპარსელებისა, რეგულიარული ოსმალოს ჯარიც ეომება და რუსის ჯარს ინგლისის ჯართან შეერთებას ხელს უშლის.

კავკასიის [illegible] ომს შემდეგ, რაც [illegible] დაამარცხეს ოსმალები სარაყამიშთან, ოლთისსა და არდაგანთან დიდი ცვლილებანი აღარა მომხდარა რა გარდა იმისა, რომ რუსის ჯარმა სამხრეთით დიდი ადგილები აილო. უპირველესი ადგილი ამ მოქმედებაში ძველი ქალაქის ვანის აღებაა. ეს უკანასკნელი დღესაც რუსის ჯარს უპყრია. დღევანდელი ცნობების ძალით მხოლოდ ის ვიცით, რომ რუსებსა და ოსმალებს კავკასიის ასპარეზზე ძლიერი ბრძოლა აქვთ. თუ რა შედეგები მოჰყვება ამ ბრძოლას არ ვიცით. ვინ იცის ეს ბრძოლანი რას გვიმზადებენ კავკასიელებს საერთოდ და კერძოთ ჩვენ ქართველებს. შეიძლება ბევრი მოულოდნელი სიურპრიზები დაგვატეხოს თავს და შეიძლება კვლავ ისეთივე შედეგი მოჰყვეს, როგორც დღემდე, ე. ი. საშინლად დაამარცხონ ოსმალები რუსებმა.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** 30 ქრისტეშობისთვე. **ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. ოლაესა და ვეიკის შუა გერმანელთა პატარა რაზმი შეეცადა მდ. მისეს მარჯვენა ნაპირზე გადასულიყო, მაგრამ რუსთა მოდარაჯე რაზმებმა უკან ვაჰლალეს. რუსთა მზვერავნი კანგერნის ტბის მახლობლად შეეტაკნენ მოწინაამდეგისას. საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა. რუსების მხარეზე იყო ცხადი გამარჯვება. პონევეჟის რკინის გზის რაიონში რუსის მზვერავებმა გადასჭრეს მავთულებიანი ხლართი და ხელის სასროლი ყუმბარებით თხრილებიდან ამოჰრეკეს გერმანელები. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.**

**კავკასიის ფრონტი.** მდგომარეობა უცვლელია.

—

**პარიზი,** 24 ქრისტ. მაასისა და უაზის შუა ღამით 28 ქრისტ. მტრის მზვერავნი გაემართნენ რიბეკურის რაიონში, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით შეჩერებულ იქმნენ. ადგილობრივ 10 კაცი დასტოვეს დაჭრილ-დახოცილი. რეიმსის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა არტილერიამ დააზიანა მტრის სანგრები. შამპანში საარტილერიო ბრძოლა მოხდა. სენ-სუპლეში და არგონებში ჩვენი არტილერიით დავანგრიეთ და დავაზიანეთ მტრის თხრილები.

**ჰავრი,** 29 ქრისტ. საარტილერიო ცეცხლი ოდნავ შენელდა. ჩვენმა ბატარეებმა ზოგიერთგან გაჰლალეს მტრის მუშები.

**ლონდონი,** 29 ქრისტეშობისთვე. ლლოიდის სააგენტოს კუნძულ მალტიდან ატყობინებენ: გემი „კრენ-მაკფარლინი“ დაიღუპა 12 ქრისტეშობის. მალტეზე გადმოსხეს 2 აფიცერი, 4 ინჟინერი, 18 მეზღვაური. 13 მეზღვაური დაიხრჩო ნავზე.

**კოპენჰაგენი,** 30 ქრისტეშობისთვე. „ფოს. ცაიტ.“ გადმოგვცემს ბრიუსელში მომხდარ სამხედრო სასამართლოს განაჩენის ამბებს. ბელგიელთ მოუწყვიათ ორგანიზაცია ტყვეების გასაქცევად. მთავარ როლს ასრულებდა ბელგიის სამინისტროს განყოფილების უფროსი ფრეილინგი, რომელსაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. სულ პასუხის გებაში მიუციათ 27 კაცი, მათ შორის 7 ქალია და 1 მღვდელი. ასეთივე პროცესები ხდება მონსში, ლიეჟში, ანტვერპენში. გერმანელები თურმე სასტიკად იქცევიან ასეთს შემთხვევაში.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**გენერალ ბელოვის ბრძანება.**

ბელოვს შემდეგი ბრძანება გაუცია ჯარებისთვის: „დიდ არმიას არ შეუძლიან ხანგრძლივად უცადოს ბუნების განკარგულებას. დარია თუ ავდარი, მან ყოველთვის თვითონვე უნდა გაიკაფოს გზა. როდესაც დაჰკრავს საათი, ჩვენ ვაჩვენებთ მტრებს, რომ გერმანელთა ჯარებს შეუძლიანთ გაუყინავ მდინარეთა გადალახვაც. ჩვენი იმპერატორის უზომო სიყვარულმა ჯარებისადმი კეთილ ინება ჯარების შენახვა, გაფრთხილება და იმიტომაც ვცდილობთ, დროს მოვუცადოთ. ჩვენი თვითმპყრობელ მთავარსარდლის სურვილია მსხვერპლი ნაკლები გაიწიროს ამ მდინარის გადალახვის დროს. ამისთვის საჭიროა ღვინა გაიყინოს. მტერი სცდილობს მდინარეს გაყინვა ააცილოს, ჩვენ კი მათ ხელი უნდა შევუშალოთ ასეთს მეცადინეობაში. თვითეული მებრძოლი დაე, დაეყრდნოს გერმანულ გამოცდილ ნების ყოფას, რათა ღირსი გახდეს იმპერატორის სიყვარულისა“. (კ. მ.)

## ძველებური წესი ახალ-წლის მილოცვისა.

ახალს-წელს, ა იანვარს, უწინარეს, ცისკრის-ლოცვისა, უკვლევდა მეფესა ჰყონდიდელი ჯვარსა და ხატსა, დასამკაულსა მეფესა და დედოფალსა და სანუკარსა შაქრისასა; ხოლო შემდგომად წირვისა სრულიად ერისთავნი, ხელის უფალნი და დარბაზის ერნი თვის-თვისთა ბარებულთა, ე. ი. ბაზიერთხუცესი—შავარდენ-ქორსა და თავსა ველურის ეშვისასა მოოქროვილსა; მეჯინიბეთხუცესი — ცხენსა ალკაზმულსა ოქრო მოოჭვილთა და სხვანი ოფიკალნი თავისთვისთა შესატყვისთა- ხოლო ერისთავნი—ცხენსა არა კეთილთა; და კვალად ესენიცა და სხვანი სრულიად ისარსა და შეაჩვენიან კრულვით ორ-გულსა მეფისასა, მეტყველნი: „მრავალ ჟამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალს წელს და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორ-გულსა“. და შემდგომად, სრულიად სპათა მოლოცვისა, შექმნიან პურობა დიდი, განცხრომითა და სახიობითა; ხოლო ცხენთა მათ ერისთავთა მორთმეულსა განიყვანის ბაზიერთხუცესი სადა იყო სანადირო მეფისა შემოღობილი ახლოსა მეფის სამყოფისა და დახოცის ცხენნი იგი მწუხრსა მას შემოღობილსა მას შინა; და მას ღამესა აღივსის შემოღობილი იგი მელითა, ტურითა, მგლითა. და დილასა მცველმან მისმან წამოხურის კარნი და დაამწყვდივის მას შინა. ხოლო მეორეს დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულთა თვისითა და მივიდის ადრიან მუნ; მაშინ გამოუშვიან მხეცნი იგინი და უწყიან ისრითა სროლა და სიკვდილი მათი. ესრეთ იკვლევდიან და შემო ვიდიან მხიარულნი სანადიმოდ.

**ბატონიშვილი ვახუშტი.**

## ქართული საკვლმოქმედო საზოგადოება

საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა: 1) სასურსათო საკითხის შესახებ ყოველივე ხელშეკრულობის პირობები წინასწარ უნდა განიხილოს იურიდიულმა კომისიამ და ამის შემდეგ მოხსენდეს იგი გამგეობას. 2) უცხო კონტრ-აგენტებს მოეთხოვოს ბე, რათა საზოგადოების მიერ მიცემულ ვაგონებით კერძო საჭიროებისათვის არ ისარგებლონ. 3) წერა-კითხვის საზოგადოების თხოვნის გამო, რომ ბათომის ქართულ სკოლას, საცა ქართველი მაჰმადიანებიც სწავლობენ, ქონებრივი დახმარება აღმოუჩინეთო, გამგეობამ დაადგინა მოსთხოვოს თავისს ბათომის განყოფილებას ცნობები ხსენებულ სკოლის შესახებ და აგრეთვე გარკვეული გეგმა შესახებ იმისა, თუ რა გზით შეიძლება ქართველ მაჰმადიანთა ბავშვების რიცხვის გამრავლება დასახელებულ სკოლაში. 4) მიეცეს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას 500 მანეთი იმ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომელთა მშობლები დაზარალდნენ ომის გამო. 5) მიეცეს თბილისის ქართულ გიმნაზიის დირექტორს 700 მანეთი ომისაგან დაზარალებულ მშობელთა ბავშვების დასახმარებლად. 6) ეთხოვოს ვ. რ. ყიფიანს, რომელმაც უარი განაცხადა საზოგადოების ხაზინადრობაზე, ნუ დასტოვებს თანამდებობას.

## წერილი ხევიდან

ყველას კარგათ მოეხსენება დღევანდელი აუტანელი მდგომარეობა სოფლისა ომის, მოუსავლობის და სიძვირისა გამო; ახლა ამას ზედ დაერთო ჩვენი მამასახლისების თვითნებობა. მაგ. სოფ. სტეფან—წმინდას მამასახლისი სვიმონ შადურის თავხედობამ ყოველ საზღვარს გადააჭარბა. ვინ არ იცის რომ, სოფლად მამასახლისებს ბევრი რამ შეუძლიანთ, ავიც და კარგიც; ეს კარგათ ესმის ს. შადურს, ძალაც ხელში უჭირავს და ამ ძალას ყოველგვარი საშუალებით პირად ინტერესების სამსახურს ანდომებს. ეს ვაჟბატონი არ კმაყოფილდება ერთხელ დაწესებული ჯამაგირით და ყოველ შემთხვევაში, როგორც მონადირე ათვალიერებს ნადირს, ათვალიერებს და ცდილობს ვისმე რაიმე წაგლიჯოს. წაგლეჯაც წაგლეჯას ჰქვიან, ეს ვაჟბატონი იმდენად გასუქდა რომ, თბილისშიაც კი სახლების ყიდვას ფიქრობს, როდესაც მის მამას ყველამ იცის არაფერი ებადა-რა, საერთოდ ჩვენს მამასახლისებს ღმერთი სწყალობთ; ზოგმა ცხვარი შეკრიფა, ზოგმა ფული შეაგროვა. მაგრამ ს. შადურმა კი ყველას გაუსწრო. როდესაც ჯარის კაცების ცოლშვილის დასარიგებლად, მომრიგებლ შუამავალმა გარდასცა ფული. შადურის, აქაც კი სიხარბემ თვალები აუბა. ხალხმა, ამის გამო საჩივარი გაგზავნაო; გარდა ამისა ამ „გმირზედ“ რამდენიმე საჩივარი არის მთავრობასთან გაგზავნილი, მაგრამ როგორც ყოველთვის დარჩა მათი ხმად, მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. აი ასე ვიტანჯებით ჩვენ მცხოვრებლები და დამნაშავენი კი თავისუფლად დასეირნობენ.

აქ მეტად გავრცელდა სენი სოფლე, საჭიროა მთავრობამ დროზედ ყურადღება მოგვაქციოს და ფერშალი გამოგვიგზავნოს, სხვა არა იყოს რა, ეს ამოდენა წამალი, რომელიც დაბეჭდილი არის „პუნქტში“ სულ ამაოდ ჩაივლის,

აქეთ ენით გამოუთმელი სიძვირე არის, ვაჭრებსაც ცოტა არ იყოს თავგასულობა შეეტყოთ, შაქარი 25 კაპ. იყიდება, ყველი 35—40 კაპ. ერბო 60—70 კაპ. შეშა საჟენი 65—70 მან. აპირობენ კოოპერატიულ დუქნის გახსნას.

**კალია.**

## † სვიმონ ზაქარიას ძე ბერძნიშვილი

(იხილე დღევანდელი დამატება)

ქრისტეშობისთვის ექვსში, სოფ. ქურთაში გარდაიცვალა სვიმონ ბერძნიშვილი.

განსვენებულს არ დაუტოვებია არც დიდი ქონება, არც ღიდი საზოგადო მოღვაწის სახელი. დასტოვა მან სახელი პატიოსანი, კეთილშობილებით აღსავსე, წყნარი ადამიანისა, და, რაც უფრო იშვიათია, ჩვენ ცხოვრებაში კარგი ქართული მწიგნობარისა. ხელობით მეჩექმეს, განსვენებულს სკოლის კარი არ უნახავს, მაგრამ არ დარჩენია არც ერთი ქართული წიგნი წაუკითხავი და შეუსწავლელი. ამ მხრივ დღეს, როდესაც ჩვენი ნასწავლი საზოგადოება რუსულს ენაზედ იკლავს თავის მწიგნობრულს წყურვილს, მასსას კი ჯერ ვერ დაუღწევია თავი გაუნათლებლობის ბურუსიდან და ჩვენი მწერლობა ობლობს მკითხველისათვის— ისეთი პირები, როგორიც განსვენებული იყო, მართლა იშვიათი მოვლენანი არიან. სვ. ბ-ლი დაიბადა ს. კისისხევში, თელავის მაზრაში 1854 წ. ექვსი წლისა დაობლებულა და ზრუნვა საკმაოთ შეძლებულ მშობლებისა მოჰკლებია. უფროს დას თელავში მეჩექმესთან მიუბარებია, საცა განსვენებულს რვა წელიწადი დაუყვია. აქ დიდ გაჭირვებასა და ტანჯვაში ხელობასთან ერთად წიგნიც შეუსწავლია.

დავაჟკაცებული სვიმონი ცხინვალში გადასახლებულა. რამდენიმე წლის შემდეგ კი თბილისში დაბინავებულა. მიუღწევია, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე „აღთქმის“ ქვეყნისათვის— დაახლოვებია ქართულ მწერლობას და გაუცვნია მაშინდელი მოღვაწენი.

დიდის რწმენით და სასოებით შესულა ამ აღთქმის ქვეყანაშა. შეუქმნია თავისი სამლოცველო კულტი—მწერლობა, უპოვნია სათაყვანებელი პიროვნებანი.

ქართული პრესა და მწერლობა—წმიდათა-წმიდა იყო განსვენებულისათვის; ილია, ვაჟა, აკაკი—ნამდვილნი ღვთაებანი.

ბაასის დროს ისეთ ღრმა სარწმუნოებრივ პატივისცემის განცდით იყო ხოლმე სავსე, რომ უნებლიეთ თქვენ თანამოზიარეთ გხდიდათ.

ხალხის შვილს, მისი ჭირ-ვარამის კარგად მცოდნეს, სვიმონს სწამდა დემოკრატიული საქართველო, მისი მომავალი. „ჩვენ ცრემლი მაშინ მოგვეშრობა, როდესაც ჩვენი სამშობლო აყვავდება და გაძლიერდება“-ო იტყოდა ხოლმე განსვენებული.

ეს იყო მისი სულის კვეთება და სურვილი და ამავე აზრს ატარებდა თავის სადა, მაგრამ ცხოვრების კარგი ცოდნით და დაკვირვებით ნაწერ კორესპონდენციებში გაზ. „ივერიაში“ უმთავრესათ.

უკანასკნელი ამბები, ეროვნული იდეის ზრდა ჩვენს ხალხში—დიდათ ასიამოვნებდა განსვენებულს.

მართლა ღირსეული პატივისცემაა განსვენებულის ხსოვნისა—სოფ. ქურთაში სამკითხველოს დასაარსებლად შეწირული თხუთმეტი თუმანი და განსვენებულის ბიბლიოთეკა, საცა, როგორც ვიცით, მოიპოვება ყველა ქართული წიგნი.

საუკუნოდ იყოს ხსენება წყნარი და პატიოსანი მუშაკისა.

**შ. ქ.**

## უცხოეთი

**იაპონია.**

სამხედრო მინისტრმა გეგმა შეადგინა და მთავრობას წარუდგინა, შესახებ სამხედრო ფლოტის გაძლიერებისა. ამ გეგმით იაპონიის საზღვაო სამხედრო ფლოტს უნდა მოემატოს 16 დიდი გემი; 4 ზედრედნოუტი, ორი ესკადრა და 2 ნაღმისმჭერი გემი.

## რუსეთი

**შინაგან საქმეთა მინისტრის უფლების გაფართოვება.**

კრიჟანოვსკის მეთაურობით შესდგა წრე, რომელსაც აზრად აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს მოუპოვოს უფლება წვრილმან საჩქარო საქმეთა პირადათ გადაწყვეტისა, რომელთაც ამ ჟამად უმაღლესი მთავრობა სწყვეტს.

## სხვა და სხვა ამბები

**პოზნანის სამთავროში.**

პოზნანელი პოლონელები უკმაყოფილონი არიან პოლონელთა კოლოს მოქმედებით. ისინი იმედს გამოსთქვამენ, რომ კოლო შემდეგში მაინც შეასწორებს თავის შეცდომათ და ბერლინში ისე იმოქმედებს, როგორც ამას პოლონელთა ნამდვილი საჭიროება უკარნახებს.

**პოლონელთა ლოიალობა.**

დეპუტატი იავორსკი ურჩევს პოლონეთის ხალხს, რომ მან მეტი ლოიალობა გამოიჩინოს გერმანეთის მიმართ და ამ რიგად უზრუნველ ჰყოფს მომავალში პოლონეთის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. სად. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. სად. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საღ. | 10 ს. 28 წ. სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. სად. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. სად. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. სად. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა და წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

## სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებად აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

**ავტომობილები, ველოსიპედები და მათი მოწყობილობა საწყობთან დიდი სახელოსნო შესაკეთებლად**

**ნ. ლგოტაკი**

თბილისი, ოლღას ქუჩა 3. დეპეშისათვის: ლგოტაკ, თბილისი.

**მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის გაზეთ**

**თანამედროვე აზრზე**

**გაზეთი ღირს როგორც თბილისში, ისე პროვინციებში მთელი წლით 8 მნ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., 3 თვით 2 მ. 50 კ., 1 თვით 90 კ.**

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიად არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.

თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება“-ში ოლგას ქუჩა, № 6.

წიგნის მაღაზია

**„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).**

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

**მ. ე. ლაღიძე და ამხ.**

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან** ყოველთვის მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და ამხანაგობის ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

Открыта подписка на 1916 г.

(Годъ изданія восьмой)

На ежедневную общественно-политич. газету

**„ЗАКАВКАЗСКАЯ РѢЧЬ“**

Подписная цѣна на годъ гор. 8 р. ½ г. 5 р. 3 м. 2-75. 1 м. 1 р.
„ „ „ Иног. 10 р. „ 6 р. „ 3 р. „ 1 р.

**Подписка принимается съ 1-го по 1-ое число каждаго мѣсяца.**

Плата за объявленія впереди текста 15 коп., позади—10 к., зрѣлищъ впереди текста—20 к., Траурныя объявленія—5 р., послѣ 3-хъ час. въ типографіи «Сорапань» [Мадатовскій остр.) на 1 р. дороже. Объявленія внѣ предѣла Кавказа впереди текста 24 к., позади—12 к.

**АДРЕСЪ:** Тифлисъ, Дворцовая, 6.

Редакторъ **Кн. К. П. Тумановъ.**

Издатель **Э. Д. Горделадзе.**

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„განათლება“**

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

**„პეტროგრად“-ში**

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

**ევროპიული და ქართული საჭმელები**

**ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.**

თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.**

25—28

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოხნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.